

არსებული მოფუსფუსე სამყაროდან, კოსმოსის ღია სივრციდან, უსასრულობიდან, მილიარდი წლების სიღრმეებიდან შენს სულში მოურიდებლად იჭრებიან რეალური თუ არარეალური არსებანი. ბევრჯერ არც კი იცი, ვინ არიან ისინი, რა უნდათ, რას დაეძებენ, რატომ ირევიან, ფუთფუთებენ, გაფორიაქებენ, მოსვენებას არ გაძლევენ - საზღვარი არ არსებობს მათ შესაკავებლად. მათ შორის დაეძებ შენსას: დაუცველს, სუსტს, დაბნეულს. ზოგჯერ პოულობ სრულიად უსუსურს და უნებისყოფოს. ცდილობ, ამ არეულობიდან დაიხსნა, გამოიყვანო, გამოსახო, ფორმა მისცე - ინდივიდუალობა, პიროვნულობა, ადამიანურობა და სახიერება შესძინო მას.

სამყაროს მოძრაობაში და ხმაში საკუთარი ტონი გამოიცნო, გამოარჩიო, სიმკვეთრე შესძინო, შეუპირისპირო სხვათა აზროვნებას, მით უფრო, ხმამაღლა, მოურიდებლად ააჟღერო - როცა ამ ხმაურში და ქაოსში გამუდმებული ჩახშობა და ჩაქრობა ემუქრება - ეს გაბედვაა.

ISBN 9789941429651

ნია გორდელი

# თვალთახედვა



ახრები

ნია გორდელი

ნია გორდელი

# თვალთახილვა

## აზრები

*/ როგორც მზის აღქმა შეუძლებელია ჭეშმარიტი არსით, უფლის შეცნობა შეუძლებელია სრული არსით და მნიშვნელობით.*

*ჭეშმარიტი არსით მზე ადამიანს დასწვავს და გაანადგურებს, ზომიერი მნიშვნელობით შექმნის თვალთა ხილვების ულამაზეს განფენილობას, რომლითაც მას შეუძლია სამყარო იხილოს. ასევე ზომიერ არსში იხილავს და შეიმეცნებს უფალს ადამიანი. /*

ქუთაისი
2014

კორექტორი - თამარ კერძაია

დამკაბადონებელი - მარიკა ლექვინაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა - გელა დაჭავა

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს **„მბმ-პოლიგრაფის“** მიერ
ქუთაისი, ა. წერეთლის ქ. №186
ტელ.: 0431 23 45 54

ISBN 978-9941-429-65-1

# ს ა რ ჩ ე ვ ი


| | |
|---|---|
| ავტორისაგან | 5 |
| შეხვედრები საკუთარ თავთან | 7 |
| ადამიანი - ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი | 16 |
| აღზრდა | 30 |
| ადამიანი, როგორც ფენომენი - ფსიქიკა, ცნობიერება, აზროვნება | 34 |
| თავისუფლება | 46 |
| თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა | 49 |
| რწმენა და რელიგია | 51 |
| სიკეთე, ქველმოქმედება, სათნოება | 59 |
| მეცნიერება | 64 |
| პოლიტიკა | 68 |
| ხელოვნება | 73 |
| სიბრძნე, ფილოსოფია, ლოგიკა | 80 |
| საზოგადოების სტრუქტურა და საზოგადოებრივი აზროვნება | 83 |
| ადამიანი და ბუნება | 90 |
| იდეა და იდეოლოგია | 94 |
| კულტურა, ერი, ტრადიცია | 96 |
| გრძნობა და ემოცია | 99 |
| აგრესია | 101 |
| ინტუიცია და ბედისწერა | 103 |
| დრო, მოდა, თანამედროვეობა | 105 |
| მშვენიერება, სილამაზე, სიყვარული | 107 |

ქალი და მამაკაცი ........ 108
ჩაკეტილი (შელახული) სიცოცხლე - ბიოლოგიური და სოციალური ასახვის კრიზისი ........ 112
სივრცის შევსების ფენომენი ბიზნესში და აზროვნებაში ........ 119
სხვადასხვა ........ 121

# ავტორისაგან

წინამდებარე ნაწარმოები არის გამოძახილი – ანარეკლი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პირადი ტკივილებისა, – საკუთარ თვალთახედვათა და შეხედულებათა ჭრილია.

ჩემი მიზანია, მოვნახო მკითხველთან საერთო ენა; გავიგო, თუ რას ფიქრობენ ისინი; შეიძლება თუ არა საერთო შეხედულებების, მოსაზრებების, და ბოლოს, საერთო მიზნების პოვნა.

ადამიანებმა, რომლებიც წინა გამოცემების შემდეგ შემეხმიანენ, დამარწმუნეს, რომ გაგვაჩნია ერთიდაიგივე სასაუბრო თემები. ცხადია, ჩვენ განსაცდელებმა, ტკივილებმა და პრობლემებმა გაგვაერთიანა. მიხარია, ბევრი ადამიანი – ჩემი თვალსაწიერის მიღმა მყოფი – ხელახლა რომ აღმოვაჩინე... ყველაფერმა ამან წამახალისა და განაპირობა ამ წიგნის გამოშვება.

მეგონა, საქვეყნო საქმეები ყოველთვის „სხვას" უნდა ეკეთებინა, რომ არიან განსაკუთრებული ადამიანები, რომლებსაც უნდა ვენდოთ და ჩავაბაროთ მართვის სადავეები; ჩვენ კი მშვიდად, წყნარად ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი საქმეები, და რომ, სხვა არაფერი გვეხება, – მაგრამ ვცდებოდი. ახლა, მჯერა და მწამს: თითოეულ ჩვენთაგანს შეგნებული უნდა გვქონდეს პასუხისმგებლობა ამ საზოგადოების მართვისა და შვილების მომავალი უპასუხისმგებლოდ სხვას არ უნდა გადავაბაროთ. კარგად უნდა გავიაზროთ, რომ აზროვნებას პოლიტიკოსები ან სხვა ვინმე კი არ უნდა ახვევდეს თავს მასას, არამედ მასა უნდა იყოს დამკვეთი პოლიტიკური აზროვნებისა. ამ შეგნებამდე მისული საზოგადოება შეძლებს ქვეყნის ინტერესების დაცვას და მომავალიც ექნება გარანტირებული. ამიტომაა საჭირო საერთო ენის გამონახვა, – ინტერესების, შეხედულე-

ბების, მოსაზრებების გაბედულად დაფიქსირება, რაც წარუძ-ღვება კიდევაც ერს, როგორც სასიცოცხლო ძალა.

დღეს, ჩვენი აზროვნება ერთ წერტილშია გაყინული. დასანანია, წარმატების, კარიერის, „სხვანაირი წესრიგის“ და ათასნაირი დაპირებების მომლოდინე, – „დედინაცვლის“ მომ-ნუსხველი მზერით დაბრმავებულ ქართველებს, საკუთარი დედა ქოხში რომ ჰყავთ მიტოვებული – მიუსაფარი...

რატომღაც, პიარის მენეჯერები ამტკიცებენ, რომ ინ-ფორმაცია შეფუთული უნდა მიეწოდოს საზოგადოებას, მაგრამ დღევანდელ ყოფაში შესაფუთი არც არაფერია. ყველაფერი იმდენად შიშველია, რომ, დაფარვა-დამალვა, შენიღბვა ძალიან უსუსური – დროებითი მეთოდებია. ნამ-დვილი არსი მიუწვდომელი და მოუხელთებელი სულაც არ არის. სიმართლე თვალისმომჭრელად სჭვივის, ადამიანებს კი თანდათან ეზრდებათ წყურვილი უფრო მეტის გაგებისა და მეტად ეწაფებიან რეალური არსის წვდომას...

შევეცადე აზრთა მსვლელობისას შემენარჩუნებინა სუ-ლისკვეთება, როგორც ადამ მიცკევიჩი ამბობს: „არა სი-ტყვები და არა მათში ჩაქსოვილი აზრი მოქმედებს ხალხზე, არამედ სულისკვეთება, რომლითაც ისინია გაცხოველებული“ და როგორც „ტკბილ გარსში გახვეული წამლები, რომლებიც შეურაცხყოფის გარეშე მკურნალობს ადამიანს“ (ვილეჰელმ შვებელი), – ისე მიმეწოდებინა მკითხველისათვის.

და ბოლოს, იქნებ ვცდები, მეშლება, ვაზვიადებ და გად-ავაჭარბე, – იქნებ სინამდვილე სულ სხვაა. გთხოვ, გაიაზრო, ჩემო მკითხველო, თუ ეს მხოლოდ ჩემი პრობლემაა და გამონაკლისი ვარ, – დანარჩენი ადამიანები კი სხვაგვარად ფიქრობენ – ბედნიერად ჩავთვლი თავს...

# შეხვედრები საკუთარ თავთან

* * *

ყველაზე დიდი სურვილი, რაც გამაჩნია, ეს არის – ვთქვა სიმართლე. ყველაზე დიდი ბუნდოვანებაც ჩემთვის სწორედ სიმართლეა.

* * *

ცხოვრება იმად ღირს, ყოველ დილით განთიადს შევეგებოთ, მზის ამოსვლა ვიხილოთ, შემდეგ პატარა ეკლესიის კარი შევაღოთ, სადაც დიდი უფალი მელოდება... დანარჩენი ცხოვრების წვრილმანები ამაოებაა – ცხოვრების ამაოება...

* * *

იმის სათქმელად, რაც მე მინდა, ღმერთს ვევედრები, მაპოვნინოს საჭირო სიტყვა...

* * *

ჩემი ტრაგედიაა, რომ „საზოგადოებისადმი“ რწმენა დავკარგე, შვება კი – ის, რომ ამით გამოწვეულმა ტკივილებმა ჩემში მეტი განცდა, სიყვარული და ადამიანების დახმარების დიდი სურვილი წარმოშვეს, უფლის წყალობით. ამან მაიძულა, არენაზე გამოვსულიყავი და წყნარად „მეყვირა“.

* * *

არ მინდა მყავდეს მტრები. მათაც კი, ჩემში წამებული უნდა დაინახონ, ვიდრე მოწინააღმდეგე...

* * *

საზოგადოებასთან ვურთიერთობ მისდაგვარად, ვაზროვნებ – ჩემდაგვარად.

* * *

არ ვიცი, ვისი აზრები ამოვკრიბე, არ ვიცი ვისი მემკვიდრე ვარ...

შეიძლება, ვიმეორებ იმ პიროვნების აზრებს, რომელმაც იცხოვრა წინა საუკუნეებში და არც კი უცდია წარმოეთქვა ან დაეწერა თავისი მოსაზრება...

ნააზრევი – კაცობრიობის მემკვიდრეობაა. მისი მისაკუთრება აზროვნების უსუსური მცდელობაა და იდეაფიქსად მეჩვენება.

* * *

როცა ვიგრძენი ჩემი არარაობა, მაშინ დავიწყე ადამიანად შედგომა...

* * *

მაშინ, როცა ვნახე, ყველა საბრძანებელი დაკავებული

იყო... ჩემს საზრძანებელში გადავბარგდი, სადაც მბრძანებელიც ვარ და მონაც...

* * *

მრცხვენია წარმოვადგენდე რაიმეს, როცა ჩემს ირგვლივ უამრავ გენიალურ ადამიანებს ვხედავ... სწორედ ისინი მაწერინებენ..

* * *

როდესაც ადამიანებთან საუბარი გამიძნელდა, დავიწყე ინტენსიური საუბარი ბუნებასთან, რამაც შვება მომგვარა...

* * *

ყოველთვის მეძლეოდა ზუსტად იმდენი, რაც საჭირო იყო და არაფერი ზედმეტი...

* * *

ვწერ იმისათვის, რათა გაცხადდეს აზრები, ამის შემდეგ გადამუშავდეს – მიიღოს სწორი ფორმა და, რაც მთავარია, დადგეს შედეგი...

* * *

ჩემს სათქმელს ვერავინ იტყვის, თან როგორც მინდა ისე...

* * *

ვფიქრობდი, „პატარა ტვინით“ როგორ უნდა შემექმნა რაიმე ღირებული... მაგრამ ჩემში დიდია დახმარების სურვილი – რწმენა გადარჩენისა...

* * *

ომში ვიყავი, ომში მივდივარ!.. გზად შინ შემოვიარე და რამოდენიმე სიტყვის დაწერა მოვახერხე...

* * *

როდესაც წერა დავიწყე, მქონდა განცდა – ვიღაც მოვიდოდა, მხარში ამომიდგებოდა და მომეხმარებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ – მოვიდა... უანგაროდ, მუხლჩაუხრელად მეხმარება...

* * *

ცხოვრების სისასტიკემ სისასტიკე სულაც არ მასწავლა...

* * *

ფორთხვა-ფორთხვით მივიკვლევდი გზას ადგილისაკენ, რომელიც ჩემთვის იყო განკუთვნილი, თუმცა იქ გვირგვინები არ მელოდა...

***

არ მაქვს სურვილი, სიძულვილით ამოვყორო ჩემი აზროვნება.

***

ჩემს თავს სრული უფლება მივეცი... ამით არაფერი დამიშავებია...

***

მთელი ცხოვრება მარტო საშოვარზე კი არ დავწანწალობდი, თურმე, „დამკვირვებელიც" ვყოფილვარ...

***

ყველაფერს შორიდან ვიწყებდი, ახლომდებარე საგნებს ხშირად ვერ ვამჩნევდი, უბრალოს ვართულებდი, აწმყოს მომავლიდან შემოვყურებდი; ადამიანებს სწორად ვერ ვაგებინებდი სათქმელს, ვერ ვარჩევდი საჭირო სიტყვებს – მრავალთა შორის ამორჩევა და მისადაგება მიჭირდა; ხშირად ვეხვეოდი გაუგებრობებში: აზრთა ურთიერთჭიდილში სიტუაციაში სწრაფი გარკვევა მიძნელდებოდა; ზედმეტი წარმოსახვების გამო, მთავარი არსის და შინაარსის გადმოცემას ვერ ვახერხებდი; რეალურ სახეებს გამუდმებულად ვეძებდი და ვარჩევდი. და ბოლოს, როგორღაც მივხვდი, რომ, თურმე, განზოგადებები დამიწყია...

* * *

არასოდეს არა ვარ სერიოზული იმიტომ, რომ კარგად არ ვიცი, ვინა ვარ...

* * *

მზის ენერგიას ვხარჯავ...

* * *

მაშინ, როდესაც საზოგადოებისათვის უქონელი და უბადრუკი ვიყავი, მომიხდა იმის მტკიცება, რომ მეც შემეძლო მატერიალური კეთილდღეობის შექმნა. დღეს, როდესაც ყველაფერი მაქვს, მიხდება იმის მტკიცება, რომ „ვაჭარი“ არა ვარ...

* * *

ჩემი მატერიალური მდგომარეობის გამო, მოლაქუცე ლექვად ვერ გადავიქცევი და არც არასდროს არავის დავემონები... მატერიალური სიმდიდრე არ მომყოლია და ვერც წავიყოლებ!..

* * *

ქების მოსმენისას ჩემში რაღაც ილახება...

* * *

გამაკრიტიკეთ!..

რომ გამაკრიტიკოთ, რაც გზა გავიარე, ის გზა ხომ უნდა

გაიაროთ და უფრო მეტიც... ამასობაში ჩემს რელსებზეც დადგებით და ჩემი თანამოაზრეც გახდებით... ამის შემდეგ ვიკამათოთ...

* * *

იმ ასაკში არა ვარ, პატარა გოგო-ბიჭებმა (რაგინდ გენიოსებად იყვნენ დაბადებულნი) ტესტირება ჩამიტარონ. ჩემი ტესტირება საზოგადოების მიერ გაკეთებული შეფასება იქნება...

* * *

ახლობლები ხშირად მეუბნებიან, რომ ენერგიას იღებენ ჩემგან, თუმცა ვიღაცისთვის უარყოფითი ენერგია რომ ვარ, ეს სრულიად ბუნებრივია...

* * *

ძალიან ბევრი დავკარგე, მაგრამ უფრო მეტი შევიძინე...

* * *

ეს ტყავი, რაც გარს მარტყია, ეშმაკის ნაბოძებია. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდება, მოვიძრობ და მას მივუგდებ...

* * *

არ შემიძლია, ვიცხოვრო ფარისევლურ გარემოში იმი-

ტომ, რომ ის მე არ მჭირდება. არ შემიძლია ყალბი ურთიერთობები და ვცდილობ დავწყვიტო ასეთი ჯაჭვები...

* * *

მაქვს რწმენა და სიმდაბლე, დავიჩოქო და ბოდიში მოვიხადო თავად ბავშვის წინაშეც, თუკი ის ამას შეიგნებს და დაინახავს.

* * *

როდესაც ახლობლები და მეგობრები ზუსტად ხვდებოდნენ, თუ რა მსურდა და რისკენ მივილტვოდი, პროგნოზირებდნენ კრახსა თუ წარმატებებს, ზედმიწევნით ერკვეოდნენ ოჯახურ წვრილმანებსა და ურთიერთობებში, წინასწარმეტყველებდნენ ჩემი და სხვა ოჯახების მომავალს, მაშინ ვთქვი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ „მინის სახლებში“.

კომუნიკაციის ახალმა სისტემამ მთლიანად გაშალა ჩვენი აზროვნების, მიზნების, მოტივების შინაარსობრივი და ქვეშინაარსობრივი შესაძლებლობები. ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: არსებობს კიდევ განზომილება, სადაც მათემატიკური სიზუსტით ხდება ჩვენი განწყობილებების, განცდების, განზრახვების და შესაძლო ქმედებების აღრიცხვა და აღნუსხვა...

* * *

განთიადი – ჩემი გონების საღი წერტილია.

***

ხანდახან ვფიქრობდი, რომ ბუნებით მეამბოხე ვიყავი. შემდეგ მივხვდი, რომ ვიყავი მეტისმეტად იმედიანი, რაც ჩემი ცხოვრების კრიზისულ მომენტებში გამოვლინდა და ძალიან გამომადგა.

***

თავდაჯერებულობა და გამბედაობა მხოლოდ გარეგნული ფორმებია. სულში კი ეჭვებია – გამუდმებული ეჭვები...

## ადამიანი - ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

* * *

უღირსი სიამაყე სიკვდილის ტოლფასია, ღირსეული კი – უკვდავებისა.

* * *

ადამიანებს უნდა დაუმტკიცო, რომ არსებობ!..

* * *

დგება მომენტი, როცა სიტყვები ძალზე უძლურია. დგება ენით აუწერელი მდგომარეობა... როცა სიტყვა მკვდარზე უფრო მეტად მკვდარია.

* * *

თუ არ იწრთობი, არაფერი გამოვა შენგან.

* * *

მაკვირვებს, რატომ გვიცნობენ სხვები უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს...

საკუთარი სარკე ტყუის?..

* * *

რაგინდ ოცნებებმა გაგიტაცოთ, სჯობს, სიღარიბის

და სინამდვილის ირგვლივ იტრიალოთ; მიწის თხშივარი ცხვირიდან არ მოიშოროთ.

* * *

მწვერვალზე ასვლისას ფრთხილად იყავით... არა იმიტომ, რომ მაღალია ან საშიში, არა, იქ სხვანაირი გამოცდა გელოდებათ...

* * *

ეს – დედამიწაა, ზედმეტ „ტვირთს“ რომ დაატარებს და არა რომელიმე ადამიანი მასზე...

* * *

ადამიანში რეალობა ტალღისებურად, მომენტ-მომენტ გამოსხივდება, მისი შენარჩუნების ძალა კი არ შესწევს...

* * *

ნურასოდეს ეცდები, საკითხი გაამუქო ბოლომდე, სულერთია, ამას მაინც ვერ შეძლებ. სჯობს, დავტოვოთ იდუმალების საბურველში გამოხვეული.

* * *

ზოგჯერ, ყოფიერების ბურუსიდან თავი უნდა ამოყო, მიიხედ-მოიხედო, კიდევ ერთხელ შეაფასო, რათა რეალური ცხოვრება თვალსაწიერიდან სამუდამოდ არ დაკარგო.

***

კეთილშობილება წვრილმანებში უნდა ვეძიოთ...

***

სიტყვას და გამოხატვას ყოველთვის აქვს აზრი: მე არ ვიტყვი, სხვა იტყვის; სხვა არ იტყვის, კიდევ სხვა – ექო გაიმეორებს და ვინ იცის, იქნებ, კეთილგონიერებას ყურში მისწვდეს...

***

სიტყვა ტემბრისა და ინტონაციის განუსაზღვრელ ტონალობას შეიცავს და ინტერპრეტაციების ფართო შესაძლებლობას იძლევა.

***

ნიჭიერს ყოველთვის აჯობებს ჭკვიანი... ჭკვიანი ნიჭიერი კი ყოველთვის მოხერხებულად ხმარობს ლაგამს.

***

არ უნდა დაგავიწყდეს, უფლის გამონაშუქ სულს რომ დაატარებ და არც ის, ადამიანური ხორცი რომ გასხია – რომელთაც სათანადო პატივი უნდა მიაგო.

***

ყოველივე ზედმეტი უნდა გადააგდო.

* * *

ქმედებას ხომ მოჰყვება უკუქმედება. ბუნების კანონზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს დააკანონებს. რომ მოძალადე დაიღუპება, არავითარი წინასწარმეტყველება არ სჭირდება ამას.

* * *

მორჩილებამ შეიძლება თავ-ბედი გვაწყევლინოს.

* * *

იუმორი და კომედია ფარი და ხერხია ადამიანური ტრაგიზმისაგან თავდასაცავად და მის შესაფუთავად. ხშირად, მოცინარიც და მოტირალიც – ორივე თანაბრად შესაბრალებელია, სწორედ ადამიანური ტრაგიზმიდან გამომდინარე...

* * *

შენში პატარა ბავშვი არასოდეს ჩაკლა – ეს თვითმკვლელობის ტოლფასია.

* * *

არასოდეს იფიქრო, რომ რაიმე აღმოაჩინე და არ გაგიხარდეს!..

* * *

უნდა შეგეძლოს ადამიანების გახარება..

* * *

ქართველები ნიჭიერი ხალხია... დახატეთ, წერეთ ლექსები და პოემები, შექმენით მუსიკა, რაც გნებავთ, ოღონდ! – საკუთარ დედებს ნუ შეაგინებთ!..

* * *

ცნობადი ხის ნაყოფის სწრაფი გასინჯვა კრახით მთავრდება (ნოვალისის მაგალითი).

* * *

სანამ მუშა-ცხენის ტვირთს იტვირთავდეთ, კარგად დაფიქრდით...

* * *

საშოვარზე და მძორზე გამოსული მდედრი და მამრი ცხოველი არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ასევეა ადამიანებშიც (საუბედუროდ)...

* * *

ნუ ვამბობთ, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების უმრავლესობა არის უინტერესო და მითუმეტეს – ბრბო..

გენიოსი შენთვის არის გენიოსი, ბუნებისთვის ყველა ერთნაირად საინტერესოა.

***

შენს მოღვაწეობას და ამბიციას ადამიანები არ უნდა გადააყოლოთ!..

***

გაუღიმე ბედისწერას!..

***

ძალიან ადვილია „ერთ მხარეზე“ დგომა. ყველა მხარეს დგომა და ყველაფრის გათვალისწინებაა ურთულესი...

***

უბრალო ადამიანებთან ფრთხილად, დაკვირვებულად და გაზრებულად ისაუბრეთ... მათ შორის ბევრი გენიოსია!..

***

ადამიანები „საშველს“ დაეძებენ, არადა, ბევრჯერ ის ხელში უჭირავთ...

***

კაცობა რა გგონია???

- ჭამა, ჩაცმა, დროსტარება თუ ბიოლოგიური ნიშნით კაცობა?..

* * *

წუმპეში უნდა იფართხალო, რეალურობას რომ არ გასცდე...

* * *

შეუძლებელია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, სხვა განზომილებაში არ მოხვდე და იქედან არ შეაფასო აზრი და არსი ყოფიერებისა...

* * *

დაუცველ (დამოკიდებულ) სამყაროში ადამიანთა გარკვეული კატეგორია ფსიქიკური აშლილობის ზღვართან იმყოფება. მართალია, სხვადასხვა ადამიანს ეს ზღვარი სხვადასხვა დონეზე აქვს, თუმცა დამოუკიდებლობის და თავისი ბედისწერის ფლობის შემთხვევაში ეს საზღვარი მაქსიმალურადაა დაშორებული სახიფათო ზონიდან.

* * *

ადამიანის კმაყოფილების სასმისი ზომიერად თუ არ შეივსო, თრობას გამოიწვევს. ზედმეტმა და სწრაფმა შევსებამ დაბნეულობა, არეულობა და გადაგვარებაც შეიძლება გამოიწვიოს.

* * *

ვინმეს რაიმე რომ დაუმტკიცო, ხანდახან, წლებია საჭირო და მოთმინება...

* * *

შენ და დრომ უნდა დაამტკიცოთ, რომ მართალი ხარ...

* * *

მოწიფულობის ასაკში დგება პერიოდი – შეჩერების, ხელის ჩაქნევის, უიმედობის, შიშისა და დეპრესიის. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ იხსნება სუნთქვა, რომელშიც მთელი ცხოვრებაა ჩაბუდებული.

ამ დროს ადამიანი გადის სოციალურ-როლური ან, თუ გნებავთ, ბედისწერით განსაზღვრული მდგომარეობიდან, წყვეტს მასთან დაკავშირებულ ცრუ თუ ნამდვილ ჯაჭვებს. თავისი მნიშვნელობა და როლი განვლილ ცხოვრებაში უმტკიცებს რწმენას გარდაუვალობისა, მისი მონაწილეობის აუცილებლობისა ზოგადსაკაცობრიო ყოფიერების უწყვეტ ჯაჭვში. თავისუფლად იძლევა განზოგადოებულ, ობიექტურ, სამართლიან შეფასებებს სიცოცხლის არსის, მიზნისა და დანიშნულების შესახებ, – უერთდება რა მარადიულ ღირებულებებს.

* * *

სენსაცია და სანახაობა ადამიანებს იმდენად ხიბლავს, ხანდახან საკვების მაგივრობასაც სწევს...

* * *

სანამ დეფიციტად გადაიქცეოდეს, დროზე აიღე, რასაც გთავაზობენ.

* * *

არ მეგულება ადამიანი, რომელიც მომავალს განჭვრეტს და იტყვის, რა გველოდება ერთი დღის, თუნდაც, ერთი საათის შემდეგ და ამ პირობებში შეიძლება, უდიდეს კანონზომიერებებს დავუპირისპირდეთ?

* * *

დაუოკებელი სწრაფვა ცოდნისადმი მანამ იპყრობს ადამიანს, სანამ ეს ცოდნა თავად არ დაიპყრობს მას...

* * *

ცოტაა ადამიანები, რომლებიც მომხდარ ან მოსალოდნელ ფაქტებს რეალურად განიცდიან და მათ, როგორც გამოცდილებას, ისე აგროვებენ და იყენებენ.

* * *

ზოგიერთი ადამიანი ცოდნით ვერ ძღება...

* * *

არ აღმოჩნდე სულელის მდგომარეობაში, რომელიც ყველას ჭკუას ასწავლის, მათ შორის ბრძენსაც.

* * *

ზედმეტად წარმატებული და ამბიციური ადამიანები უფალსაც არ უყვარს, რამეთუ ხშირად უფლის წინაშეც მედიდურობენ.

* * *

მიაგნო ნორმას - ეს ღვთის წყალობაა.

* * *

მთავარი ის კი არ არის, რას ნახავ, არამედ ის, თუ რას დაინახავ მასში.

* * *

თუ სხვა ადამიანმა უკეთ იცის, შენ რა გინდა და ამის შესახებ გაგაგებინებს, ის მტერია?..

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც იწელებიან იმად, რაც არ არიან. ისინი ყოველთვის ზედაპირზე ტივტივებენ და ჩანან.

არიან დიდი სულიერი სიღრმის ადამიანები, რომლებიც, ბევრჯერ, ისე ამთავრებენ სიცოცხლეს, საზოგადოება მათ ვერ ამჩნევს...

* * *

გონიერება უნებისყოფო ადამიანებს ვერ ეუფლება.

* * *

ის, რაც უნდა დაგვემართოს, ჰაერში რიალებს, ჩვენ კი მისი დანახვა არ გვინდა...

* * *

ყოველი ადამიანი შინაგანი მოძრაობის ფორმით და არეალით უნიკალური და განუმეორებელია.

* * *

როცა დიდება გინდა, დაფიქრდი რად გინდა იგი...

* * *

შენება ყოველთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ის სილამაზესთან, გეგმაზომიერებასთან, მხატვრულ აზროვნებასთან, ხელოვნებასთან ასოცირდება. ნგრევა კი – ძალადობასთან, უხეშობასთან, განადგურებასთან. სამწუხაროდ, ზოგიერთები მხოლოდ ამ უკანასკნელით არიან ნიშანდებულნი.

* * *

ადამიანები გაურბიან თავიანთ არსებაში დაბუდებულ მხეცთან პირისპირ შებმას.

* * *

ქებამ არ უნდა გაგაბრუოს, სრულიად პასუხისმგე-

ბლობად უნდა მიიღო, – გაამართლო იგი სხვა ადამიანე-ბის სასარგებლოდ და შვებათა მოსაგვრელად.

* * *

ყველაზე დიდი მტრები სხვა სარწმუნოებაში და ეროვნე-ბაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საკუთარ თავში.

* * *

ძალიან იოლია ცხოვრება, როცა გონებას არ აწვალებ.

* * *

სხვასთან ერთად საქმის წამოწყებისას, იდეალურ ვარი-ანტად მიმაჩნია, რომ ეს საქმე იყოს პარტნიორთათვის თანაბარმნიშვნელოვანი, ხოლო რისკები საერთო.

* * *

ადამიანები რომ შედგეს, ცხოვრება უნდა შედგეს. ცხ-ოვრება რომ შედგეს ადამიანები უნდა შედგეს.

* * *

ადამიანს თავისუფლების შემზღუდავ ურჩხულად მო-ეჩვენები და შეიძლება დაუფიქრებლადაც გაგწიროს, თუკი მისი დიდი შეცდომის ან წარუმატებლობის უნებლიე მოწმე ან, თუნდაც, მესაიდუმლე ხართ.

* * *

გახსოვდეს, შენი ტალანტის სულ მცირე გაბრწყინებისასაც კი, დამდგარი მოლოდინები დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს.

* * *

ადამიანი, რომელიც თავისი თავის მნიშვნელობას მხოლოდ ადგილწარმომავლობით საზღვრავს და ცდილობს საზოგადოებაში ამ ადგილის პრესტიჟულობით წარმოჩინდეს, აზროვნებით სიღატაკეს და სულის სიმდაბლეს ამჟღავნებს.

* * *

არშემდგარი ადამიანები, არასრულფასოვნების კომპლექსებით მხეცებთან შეჯვარებული მანიაკების ხროვაა.

* * *

ყველაზე საშიში ადამიანები ნიჭიერთა შორის უნდა ვეძებოთ...

* * *

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გაზრდამ, „წარმატებების" მიღწევის მცდელობებმა შეიძლება კაცობრიობა

დაღუპოს. დროა, გონების განვითარების პარალელურად, ვიმსჯელოთ გონების „გონივრულობაზე“.

***

ვინც არ ამბობს, ის მეტს ამბობს...

***

სჯობს, ერთ ენაზე ისაუბროთ და იაზროვნოთ ღირსეულად!..

## ᲐᲚᲖᲠᲓᲐ

* * *

მოზარდი თაობა შემიძლია შევადარო მზის ამოსვლას. ვიდრე ის ამობრწყინდებოდეს და განათებას დაიწყებდეს, მას მოუხდება თავისი ენერგიის დათოკვა და დარეგულირება.

იცოდეთ, თქვენა ხართ მზის უძლიერესი ენერგიის მატარებლები, რომლის საზღვრებში მოქცეული ზომიერება განაპირობებს „უმშვენიერეს სიცოცხლეს“ დედამიწაზე.

* * *

ბავშვი რეალურობის საზღვრებში უნდა იზრდებოდეს. თავისი სახლის კარიდან გასული, იგი უამრავ აგრესიას წააწყდება. აგრესიის სტერილიზაციის ჩატარებას ნუ შევეცდებით.

* * *

შვილები უხილავი ძაფებით უნდა მივიბათ და არა ჯაჭვებით... ჯაჭვებს ადვილად წყვეტენ, ძაფებს კი ვერ ამჩნევენ...

* * *

მოზარდის ასაკის შეუსაბამო გაცნობიერება – ცნობიერებითი ველის ზედმეტი გაფართოება (ჩვენი გად-

აჭარბებული მცდელობები) შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. ცხოვრების საზრისის ძიება – ზედმეტი ჩაკირკიტება და მრავლად წარმოშობილი კითხვები – ხშირად ხდება მოზარდის იდენტიფიკაციის კრიზისის მიზეზი.

***

აღზრდა, უპირველესად, ბუნების სწორ შემეცნებას, მასთან სწორ კონტაქტს უნდა გულისხმობდეს და განაპირობებდეს.

***

ახალი თაობა ასპარეზზე ახალი მისიით გამოდის. ძველის გადაფასების მცდელობისას იმართება ჭიდილი, რომელიც კანონზომიერია. ამ დროს ორთავემ უნდა დაინახოს: ერთმა – გზა, რომელიც უნდა გააგრძელოს, მეორემ – გზა, რომელიც უნდა დათმოს!..

***

ცხოვრება უკეთ შეგუებულთა ასპარეზია..
სათბურში გამოყვანილი ჩვენი შვილები უკეთ შეგუებულთა რიცხვში არ შედიან.

***

ზოგჯერ, ადამიანს ეზარება, გასწიოს ძალისხმევა, რათა საკუთარი პიროვნება აღზარდოს და მისგან რაიმე გამოიყ-

ვანოს. იგი სხვა პიროვნებებს ან ჯგუფებს აედევნება და გაუცნობიერებელ ურთიერთობაში მყოფი, მათთან არას-წორი ასახვით ცდილობს, თავის პიროვნებას რაიმე შესძი-ნოს, რაც, საბოლოოდ, დამღუპველად მოქმედებს მასზე, – სხვა ადამიანების სურვილების აღმსრულებელ საშუალე-ბად იქცევა ისე, რომ თავად ამას ვერ აცნობიერებს ან აცნობიერებს ძალიან გვიან, როცა უკვე სახეზეა პიროვნუ-ლი კონფლიქტი.

* * *

საით წაიღებ შენს ტრაგედიას და ტანჯვას ეს შენი საქმეა. უნდა ეცადო, ის სხვას არ გადაუნაწილო – განსა-კუთრებით შვილებს.

* * *

გამოცდილებას ყველა თავისებურად იზიარებს (თუ იზ-იარებს საერთოდ...). გამოცდილება არ არის მყარი მოცე-მულობა. იგი შემოქმედებითად მიდგომას მოითხოვს. არ შეიძლება, ყოველგვარი გამოცდილება მიაძალო მომა-ვალ თაობას, რომლებიც სულ სხვა მიზნებისკენ არიან მიდრეკილნი...

* * *

მოზარდის ინტელექტუალური განვითარებისდაკვალად უნდა მიმდინარეობდეს მისი ფიზიოლოგიის და, ზოგადად,

მასთან მიმართებით, ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობა. წინააღმდეგ ამისა, ცალმხრივად განვითარებული და გაუცნობიერებელი მოზარდი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება სრულიად მოუმზადებელი, რაც მის ცხოვრებას ძალიან გაართულებს.

***

დასრულებული იდენტიფიკაცია ადამიანის სამოქმედო სქემად – პარადიგმად გვევლინება, რომელიც დროთა განმავლობაში გაძვალებას განიცდის, თუმცა ადამიანის ინტელექტიდან, გენეტიკური განწყობილებიდან და ღვთიური მადლიდან გამომდინარე, გამონაკლისებიც არსებობს.

# ადამიანი, როგორც ფენომენი - ფსიქიკა, ცნობიერება, აზროვნება

***

ადამიანური ფენომენი გაურკვეველი, შეუსწავლელი და აუთვისებელი ყამირია.

***

მთელი არსი ადამიანურობისა – მისი „ბუნებრივი ფენომენი“ იყო... შიშველი სხეული დაიფარა, ცხოველური განდევნა... იმიტომ, რომ მას „ასეთად“ ქცევის მისწრაფება ბუნებრივად გააჩნდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამას თავის თავში ცხოველურის წინაშე წინააღმდეგობით და ბრძოლით აღწევდა.

ცხოველისაგან ადამიანმა გადმოდგა ნაბიჯი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ მოქმედებს ჩვენში, არ არის და არ გვიპყრობს ბევრ მომენტში.

ადამიანი, დღეს, ბუნებრივი და ხელოვნური კატაკლიზმების, უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში დგას და ფიქრობს, საით აიღოს გეზი. უკან ვერ დაბრუნდება. „ბუნებრივი ფენომენი“ ამას ასე არ განსაზღვრავს; მან უნდა გააგრძელოს ეს წინააღმდეგობა და თავის უნივერსალურ წიაღში იპოვოს სწორი გადაწყვეტილება.

* * *

უდიდესი სიზუსტით ასახულ ბიოლოგიურ სისტემებს შეუძლიათ, კიდევ, ურთიერთასახვის პროცესში ცნობიერებითი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, მათგან განსხვავებით ადამიანს – ცნობიერების წარმართვა, – მისი ობიექტივიზაცია გარე სინამდვილესთან ერთად.

* * *

შინაგან გაურკვევლობაში გარკვეული ხატებისა და შინაარსების შემოსვლა, ადამიანად ფორმირების მომასწავლებელი იყო.

* * *

არათუ ერთს, მრავალ ადამიანს ერთად არ შეუძლია, იხილოს მთლიანი არსი მოცემულობისა, როგორიც არის სამყარო. ეს არის ადამიანური უძლურებაც და მთავარი განმაპირობებელიც მისი სიცოცხლისუნარიანობისა...

* * *

ხატოვნად და სიტყვიერად გაფორმებულ ჩვენს წარმოსახვებში კიდევ არის ცოდნა, რომლის წაკითხვა უნდა შევძლოთ.

* * *

მწვერვალი უნდა შევისწავლოთ, ძირი რომ გამოვიც-

ნოთ. ნაყოფს კარგად დავაკვირდეთ და ნიმუშებადაც გამოვიყენოთ, რამეთუ, ზოგჯერ, ძირი ჩვენ ვართ...

* * *

ადამიანი იმდენად აცნობიერებს, რამდენი იცის და იმდენი იცის, რამდენად აცნობიერებს.

* * *

თუ აზროვნება აღიარებული მოვლენაა, სინდისი მასში აუცილებელი პირობაა – მიზეზთა მიზეზია, ძირითად სასიცოცხლე ტენდენციებს შეიცავს, გულისხმობს და განაპირობებს – სიცოცხლის გადარჩენის საშუალებაა...

* * *

ადამიანს არ შეუძლია, ყველა განცდა, გრძნობა, ემოცია – ადამიანური ტკივილები თავის გონებაში ჩაატიოს და ატაროს. ამიტომ იქმნება მხატვრული ნაწარმოებები, ივსება ხელოვნების დიდი ტილოები, – დგება ტომები.

* * *

მრავალი ადამიანის წარმოსახვათა პრიზმაში გატარებული აზროვნებაა საკაცობრიო აზროვნება. ეს არის სივრცე, რომელიც დაუყოვნებლივ შევსებას ითხოვს. იგი თანდათან იზრდება, ფართოვდება, მრავალსახოვანი ხდება. ეს ის ად-

გილია, სადაც თითოეული ადამიანი თავის კენჭს აგდებს და რომელიც, არავინ იცის, რა ღირებულებისაა.

* * *

ფსიქიკა შეგუებადი, ასახვადი სისტემაა, რომელიც ცნობიერებას, ქვეცნობიერებას და ზეცნობიერებას აყალიბებს.

* * *

საინტერესოა, რომ ჩვენი სამყარო ახლა სხვა განზომილებაში გადადის. დედამიწაზე მომხდარი კატაკლიზმების გამო, ბიოლოგიური მასალა და ადამიანის აღქმა შეიცვალა. შესაბამისად, შეიცვალა ადამიანის აზროვნება.

საჭიროა თავისუფალი, ინტუიციური აზროვნება, მომავლის სწორი რეფლექსია და სწორი ქმედებები, რათა არ მოხდეს რეგრესია.

* * *

ჩვენი აზროვნება, ზოგჯერ, პლანეტების ორბიტაზე მიზიდულობითი კანონებით მოძრაობის მსგავსი აზროვნებაა, რომელსაც ვერც აღვიქვამთ და ვერც ვცვლით.

* * *

ფსიქიკა – ეს ქცევაა და ქცევა ფსიქიკაა. მათ შორის დიდი ლაბორატორია – დრო მუშაობს.

* * *

ქვეცნობიერება ორგანიზმის სასარგებლოდ შეფარული აზროვნებაა, მაშინ, როცა ცნობიერება საზოგადოებრივი ცნობიერებით განპირობებული აზროვნებაა... „შეფარული“ ბევრჯერ პიროვნებისთვის უცნობია...

ძალიან ბევრია გაუცნობიერებელი ბრალით შეპყრობილი ადამიანი, რომელთაც არ იციან საით მიმართონ თავიანთი აგრესია. აგრესია – გაცხადებული ქვეცნობიერებაში, მაგრამ გაუცნობიერებელი ცნობიერებაში, რამეთუ ცნობიერებაში საზოგადოებრივი რეაქციებიც არის ფიქსირებული და ეს ხელს შეუშლიდა აგრესიის ფორმირებას. იგი კრისტალური ენერგიის სახით არის მოცემული, თუმცა მისი სუბლიმირება სავსებით შესაძლებელია, ამისათვის საჭირო მექანიზმებს კი ხშირად თავად პიროვნება ვერ ფლობს.

* * *

თავის დროზე, ზოგიერთ ადამიანს რომ ეფიქრა, მე ხომ არა ვარ ის ადამიანი, რომელსაც მსოფლიოს აზროვნების შეცვლა შეუძლიაო, ბევრი ომის და კატასტროფის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი.

* * *

ჩვენი მოსაზრებები მარტო ჩვენი წარმოსახვის ნაყოფი რომ არ იყოს, სხვის ტვინშიც უნდა გადამუშავდეს. მრავალთა მხრიდან აღიარების და დასტურის შემთხვევაშიც კი, არ

შეგვიძლია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ მასში რაიმე რაციონალური მოიპოვება...

* * *

ზომიერი პროტესტი ყველაფრის და ყველას მიმართ უნდა გაგაჩნდეთ ისე, რომ საკუთარი თავი არ დაიზიანოთ...

აზროვნების მხოლოდ მაღალ კატეგორიებში შეიძლება მიუახლოვდეთ და ჩასწვდეთ რეალურ არსს და საწყისს. სხვისი შეგონებები ყოველთვის ყალბად და მცდარად მოგეჩვენებათ თუ  თავად არ მიხვალთ ჭეშმარიტ არსამდე და აზრამდე.

* * *

ადამიანი თავის აზრებს კი არ უნდა დაატარებდეს, არამედ აზრები უნდა დაატარებდეს მას.

* * *

აზროვნებითი შესაძლებლობა და უნარი გამოხატულებათა შესაძლებლობას ხშირად არ ემთხვევა, ზოგჯერ არ ეთანხმება...

* * *

აზრს ვერ წარმოშობ შეჭიდულობის გარეშე. არსებობს ცალმხრივი გამოვლენა, მაგრამ ის მხოლოდდამხოლოდ

რაღაცასთან შედარების, მისადაგების შედეგად გამოვლინებული ცალმხრივობაა, რომელიც მეორეს – მის საპირისპიროს აუცილებლად გულისხმობს.

* * *

კაცობრიობის აზროვნება ძალიან ნელა იზრდება იმ ფონზე, როცა აზროვნებითი პროდუქტი ხვავდება (ვერ ვიტყვით, მათ შორის სრული შეუსაბამობა იყოს). აზროვნებითი პროდუქტი ხორაგივით იყიდება ბაზრებზე, მაშინ, როცა ჭეშმარიტი აზროვნება სანთლით საძებარია...

* * *

სიმბოლოთა სიმბოლო – ეს ადამიანური აზროვნებაა.

* * *

ინფორმაციის სივრცული გადაცემის და მიმღებლობის უნარი ტვინს აუცილებლად გააჩნია. მიღებული შეკუმშული ინფორმაცია (ენერგია) მასალაა ტვინისა და სამუშაოთა პროფესიული გაშლის საშუალებას აძლევს მას.

* * *

სუროგაცია აზროვნებაში: მე კი არ უნდა ვშობო, მან უნდა შობოს (სხვამ იაზროვნოს ჩემს მაგიერ) – კატასტროფაა, უფრო სწორად, აზროვნება არაა.

* * *

აზროვნებითი აქტი არის მთავარი შრომა – რაშიც ვქმნით, ვიქმნებით, ვახორციელებთ და ვადასტურებთ კიდევაც საკუთარ არსებობას.

* * *

საგნები გვიზიდავს – ჩვენს აზროვნებას ირჩევს (კურტ ლევინის მიხედვით).

* * *

ვიზრდები – როგორც შემიძლია, ვაზროვნებ – როგორც ძალმიძს.

* * *

აზროვნება არ არის მარტო ტვინის აზროვნება. ყოველგვარი მიზანშეწონილი მოძრაობა აზროვნებაა. მიზანშეწონილი მოძრაობა არის არსის შესაბამისი მოძრაობა, რომელიც სიცოცხლეს ან სიცოცხლისუნარიანობას გულისხმობს; თანაც იგი საწინააღმდეგო ტენდენციის – ამ არსის მოსპობის-განადგურების საპირისპირო მოძრაობაა, მასთან ჭიდილია. თუ ამ ჭიდილში არსის აზრი იმარჯვებს, ეს უკვე სასიცოცხლო ტენდენციაა – დადასტურებული მოძრაობაა; განცდადია, რომელიც ამავე არსში აისახება; გამეორებადია და მიმართულებაც აქვს – ესაა სიცოცხლის განხორციელების აუცილებლობა.

* * *

საზრისს გააჩნია ბაზა – ველი, რომლის იქით ის არაა საზრისი. იგი უბრალოდ ქრება და იკარგება...

* * *

ადამიანის ნააზრევი ცალმხრივია, თუკი იგი სხვა ადამიანების ნააზრევით არ არის მხარდაჭერილი და განმტკიცებული.

* * *

კონკრეტულ დროს ახლავს კონკრეტული აზრი, რომელსაც წვდომა სჭირია...

* * *

ცხოვრების მანძილზე ადამიანის აზროვნებაში არის სამი მომენტი: გაღვიძება-გაღვივების, ცოდნის შეძენისა და გაფართოების და მესამე – ამოკრების, შეჯამების და ინტეგრირების. პირველი ორის ასაკი შედარებით განსაზღვრულია. ცოდნის შეძენის შემდეგ, არავინ იცის, ადამიანის აზროვნება როგორ გამოვლინდება – როდის რა ფორმას მიიღებს იგი...

* * *

ისეთ პატარა არსებას, როგორიც ადამიანია, არ უნდა ქონდეს პრეტენზია – ცოდნა სამყაროზე ან თავის თავზე

დასრულებულად გამოაცხადოს ან დაბეჯითებით ამტკიცოს პარადიგმებად მიღებული მოსაზრებებიდან გამომდინარე გადახრა.

* * *

საყოველთაო ცოდნასა და მტკიცებულებებში ყოველთვის არის შავი ხვრელები, რომლებიც არ ვიცით, სად მიგვიყვანენ...

* * *

ქვეცნობიერება შეიძლება შევადაროთ მძინარე ვულკანს, რომელიც ქერქქვეშ მძვინვარებს და არ ჩანს, მაგრამ ის შეიძლება, ერთ დღეს, სავალალოდ, გამოჩნდეს.

აზროვნება მხოლოდ ცნობიერებითი არაა. აზროვნება არის ორგანიზმის სასიცოცხლო ტენდენციის განხორციელებისათვის საჭირო აზროვნება, რომელიც ხშირად არაცნობიერია.

* * *

ქვეცნობიერებამ ბევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. მომავალშიც არავინ იცის, რას უქადის მას. არადა, ნეიროქირურგები ამტკიცებენ, რომ იგი არ არსებობს...

* * *

ყოველი აღმოჩენა ფსიქიკის შესწავლის გზაზე, ანტიკურ ხანაში ახსნილი ფსიქიკის რთული ბუნების დადასტურებას წარმოადგენს.

* * *

როგორც პატარა ბავშვი არ გაიშვება გარეთ სათამაშოდ მარტო, ასევე ფსიქიკა ვერ მოქმედებს ცნობიერების თან-დართვის გარეშე (მოქმედებს თავისი ვიწრო კომპეტენციის ფარგლებში). ცნობიერება რაც უფრო განვითარებულია, მით უფრო ემორჩილება ფსიქიკა.

* * *

ცნობიერება განსაზღვრულია სუბიექტური და ობიექ-ტური რეალობით; დადასტურებული პროდუქტია და გუ-ლისხმობს ორიენტაციას თავის თავში და გარემოში. მასში ხდება წარმატებულად განხორციელებული რეაქციების შერჩევა და ფიქსირება, როგორც ძირითადი სასიცოცხლო ინსტიქტებისა.

* * *

„ქვე“ და „ზე“ ცნობიერება გამუდმებულად თვით და ურთიერთასახვაშია და ისეთივე რეალობაა, როგორც თა-ვად ცნობიერება.

***

აზროვნება ადამიანში – ეს არის გონებრივი სამუშაო, თანმიმდევრული ფსიქიკური პროცესი, ადამიანური პროფილის შესაფერისი „ქარხანა“, სადაც ხდება აწყობა და დაშლა (კონსტრუქცია-დეკონსტრუქცია).

# თავისუფლება

* * *

თავისუფლება თუ ადამიანის უმაღლესი კატეგორიებისაკენ დამოუკიდებელი სწრაფვაა, არანაირი შეზღუდვებით არ უნდა ჩაიხშოს იგი...

* * *

ადამიანი მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ - ეს უდავოა, მაგრამ თუ ეს თავისუფლება თავისი მსგავსის შეზღუდვის და შევიწროების ხარჯზეა, ამას ბიოლოგიური ნიშნით - ბრძოლა არსებობისათვის ჰქვია, ხოლო თუ იგი თავისი მსგავსის პატივისცემის და არსებობის გათვალისწინებითაა, მას შეიძლება ვუწოდოთ ჰუმანური და ამაღლებული.

* * *

სწრაფვა თავისუფლებისაკენ უსაზღვროა და უკიდეგანო ისევე, როგორც სიცოცხლის განხორციელებისათვის საჭირო ენერგიები დროისა და სივრცის უკიდეგანობაში.

კერძო ადამიანების გადასაწყვეტი არ არის, ვინ დარჩეს და ვინ განადგურდეს დედამიწაზე. დღევანდელ მსოფლიოს ეს უკვე გაცნობიერებული აქვს. საჭიროა მეტი გააზრებულობა; ფსიქოლოგთა, გენეტიკის სპეციალისტთა, ჰუმა-

ნურ მეცნიერებათა წარმომადგენლების თანამშრომლობა – გაუმართლებელ, დეგრადირებულ აზროვნებასთან – ერთობლივი წინააღმდეგობის და ბრძოლის გამოცხადების მიზნით.

* * *

ხანდახან ჯაჭვები უნდა გაწყვიტო და სხეულიდან გახვიდე – ცოდვის საზუდარს გაშორდე და შორიდან შეაფასო იგი, თუმცა არა მგონია, უკან დაბრუნება გადაწყვიტო... ვაი, რომ ამას ჩვენ არ ვწყვეტთ.

* * *

თავისუფლების ნეტარი განცდა, რომელიც სიცოცხლეს არ შეიცავს ან გამორიცხავს, აბსურდამდე დადის...

* * *

თავისუფალი არჩევანის არჩევანი დიდი კანონზომიერების გენიალური ჩანაფიქრია.

* * *

დამოუკიდებლობა!.. რის ფასად!?.

* * *

განთავისუფლება, რომლისთვისაც ასე გულმოდგინებით

ვიღწვით, საკუთარი თავის უვიცობისგან არ გვათავისუფლებს...

* * *

როდესაც გვაზომბირებენ და ძალმომრეობენ (იგივე რეკლამებით თუ სხვა) ვალდებული ვართ გააფთრებული წინააღმდეგობა გავუწიოთ ამას...

* * *

აკონტროლე შენი მომავალი, შენი ცხოვრება, მოიპოვე თავისუფლება!..

# თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა

***

თავმოყვარეობა – ადამიანის არქეტიპული (პირველსაწყისი) თვისებაა, რომელიც პიროვნული, შინაგანი სამყაროს დაცვის ინსტიქტებითაა ნაკარნახევი.

პატივმოყვარეობა – ახალი, შემდგომ შეძენილი, საზოგადოებაში გამომუშავებული – ამ საზოგადოების მიერ პიროვნებისადმი ღირსეულად თუ უღირსად მინიჭებული, ან თავად პიროვნების ფანტაზიებში და წარმოსახვებში არასწორი წარმოდგენებით, დაბალი თვითშეგნებით და თვითშეფასებით, უკრიტიკობის შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენაა, რომელიც წარმოშობს საგნებზე, ადამიანებზე, ადამიანთა ჯგუფებზე არასწორი ფლობის მოთხოვნილებას, რაც, საბოლოო ჯამში, უსამართლობისა და დანაშაულისაკენ უბიძგებს პიროვნებას.

***

ზოგჯერ, გაამპარტავნებული, პატივმოყვარე ადამიანი როლის „გათამაშებას" იწყებს (ორმაგი თამაში), გამოჰყავს რა თავისი პიროვნება ასპარეზზე. ეს ხელოვნებაა, რომელიც უბრალო მომაკვდავთათვის მიუწვდომელია. თითქოს, ზებუნებრივი ძალების დახმარებით, ეს პიროვნება თავის იდეოლოგიას თავს ახვევს მილიონებს... იწყება დასნებოვნე-

ბა – ეს ვირუსის გავრცელებას ჰგავს და შეუძლია არა მარტო ზემოქმედება მასებზე, არამედ მათი განადგურებაც. ამ დროს წინააღმდეგობა ნულია. მხოლოდ შეუცნობელი ძალა „თვითგანადგურების ინსტიქტის პრინციპით“ ერთი მიმართულებით ამოძრავებს ამ პიროვნებას და საზოგადოებრივი აზროვნების ამ ფორმას.

* * *

თვითკმაყოფილების იმედზე დარჩენილი თავმოყვარეობა უგუნურებას ბადებს.

# რწმენა და რელიგია

***

ადამიანის სურვილი არ კმარა, გაიგოს აზრი და არსი ყოფიერებისა. საჭიროა ისეთი მოძრაობა, რომელიც მას ტანჯვაში განაცდევინებს საწუთროს. მრავალგზისი გან-საცდელების შემდეგ იწყებს ისეთ აზროვნებას, რომელმაც შეიძლება მის გონებას ნათელ-ბნელის ჭეშმარიტი ხილვა-დობა აღუძრას.

***

ადამიანთა არსებობის და „მოღვაწეობის" თვალუწვდენელ ოკეანეში, საბედნიეროდ, დარჩა კუნძულები, რომელზედაც ნაწტომებით გადაადგილებულმა, შეიძლება ძნელად, მა-გრამ მაინც, გზა გაიკვლიო სულის საზიარებლად...

***

წმინდანები მარტო ღვთისმეტყველების გამო კი არ არიან წმინდანები, არამედ იმიტომ, – რომ რაც საჭიროა, ადამიანების ენით გადმოსცემენ; დანარჩენი საიდ-უმლოს შენახვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებენ.

***

...შედის ტანჯვაში კვლავ, რათა კიდევ ერთხელ იგ-რძნოს ნეტარების სიტკბო – არსი ჭეშმარიტებისა...

* * *

რა სულითაც იწერებოდა ფსალმუნები, იმ სულითვე უნდა იკითხებოდეს.

* * *

მარცვალი რწმენისა ადამიანს დაბადებიდან თან დაჰყვება. განვითარდება თუ არა, გარემოებაზე არის დამოკიდებული, თუმცა, ის ადამიანში არის და ღვივის. მიჩქმალულ მდგომარეობაში მყოფი, გამოსავალს ეძებს, რომ ნაპერწკალივით იფეთქოს და აინთოს!.. ეს უფლის ნაბოძებია და მისი გაქრობა ადამიანის გაქრობასაც მოასწავებს.

* * *

მზის ზომიერ სხივებში ნებიერად მყოფს, უკუნეთი არასოდეს მავიწყდება, უფალო. ვიცი, უშენობა როგორ მაქცევს ყინულის ლოდად ან როგორ დავიფერფლები, შენი ნების წინააღმდეგ აღმდგარი...

* * *

ჩემი აზრით, უფლისათვის უფრო მისაღებია გამოსავლის ძიებაში გზაჯვარედინზე მდგომი მავედრებელი ადამიანი, ვიდრე ის, ვინც ფიქრობს, რომ რაღაცას მიაღწია, აღმოაჩინა ან დაინახა და ამით თვითკმაყოფილებასაა მიცემული.

***

მთავარია, დასახო და დააწყო გეგმები... იქვე ანგელოზები ჩამოგისხდებიან შავი ან თეთრი ფრთებით...

***

დადგება დრო, უფალი გვეტყვის:

შენ, ის კი არ გიყვარდა – მე გიყვარდი!.. მაგრამ მე „ის“ გეგონე...

***

წირვიდან რომ გამოხვალ, მილიმეტრის მემილიონედით მაინც, ხომ უნდა იყო გაზრდილი?..

***

ვერ დავინახე ადამიანები, რომლებსაც ეკლესიის სიმშვიდე ცხოვრებაში გადააქვთ, პირიქით კია...

***

ბოროტება ვერცერთი მეთოდით ვერ იმარჯვებს.

***

მიუხედავად მრავალი ძალადობისა და მაცდუნებელი მომენტებისა, ქართველ ერში შემონახულია ბირთვი, რომელიც ერის ძლიერ სასიცოცხლო ძალად პულსირებს

და ამის გამო გადაშენება არ უწერია.

რა არის ეს პულსი?

– ეს არის რწმენა, რომელიც გამჯდარია მასში. მისი ამოძირკვა არანაირი საშუალებით და ძალით არ ხერხდება.

* * *

ეშმაკის ლაბორატორია ყველაზე ჭკვიანებს ამზადებს, რომლებიც ადამიანთა გამანადგურებელ საშუალებათა დამამზადებელ ლაბორატორიებში სამუშაოდ ხალისით გარბიან...

* * *

ყოველი ფაქტი, რაღაც ფორმით, კანონზომიერების გამოვლენაა.

* * *

როგორც მზის აღქმა შეუძლებელია ჭეშმარიტი არსით, უფლის შეცნობა შეუძლებელია სრული არსით და მნიშვნელობით.

ჭეშმარიტი არსით მზე ადამიანს დასწვავს და გაანადგურებს, ზომიერი მნიშვნელობით შექმნის თვალთა ხილვების ულამაზეს განფენილობას, რომლითაც მას შეუძლია სამყარო იხილოს. ასევე ზომიერ არსში იხილავს და შეიმეცნებს უფალს ადამიანი.

* * *

ქრთამით ჯოჯოხეთის განათება მაშინ მთავრდება, როდესაც ღვთაებრივი ცეცხლის ნათელი იწყებს გამონათებას.

* * *

ერთხელ, ლუციფერი გამოეცხადა საცთურებში გახლართულ ადამის ძეს და უთხრა: მე იმიტომ ვარ ასეთი სასტიკი, რომ თქვენგან ავიღე ყველა სიმახინჯე, რათა დაგენახათ მთელი საშინელება კაცთა მოდგმისა. ეს, მე ვიწვი საუკუნო ჯოჯოხეთის ცეცხლში ყველას მაგიერ, თქვენდა შესაძრწუნებლად... თქვენ არ გექნებოდათ არანაირი წარმოდგენა იმაზე, რაც ადამის მოდგმამ ჩაიდინა და ჩაიდენს მომავალში... ეტყობა, კარგად ვერ დაგანახეთ სისასტიკე და სიძულვილი, – კიდევ უფრო მეტად საშინელი და ამაზრზენი არსება უნდა ვიყო, რომ რაიმე ისწავლოთ ჩემგან... დანარჩენს უფალი გაგანდობთ, როცა მის წინაშე აკანკალებული წარსდგებით თქვენი ცოდვებით...

* * *

დღესაც კი, შენს თვალწინ ქრისტეს აწამებენ და შენ რას აკეთებ?..

* * *

მუხლმოდრეკილი გევედრებოდით, უფალო, ჩემი არ

ისმინეთ, — უსაყვედურა უფალს კაცმა.

მადლის ჩამოსატანად ვიყავით ასული ზეცაში. როცა დავბრუნდი, მლოცველთა შორის გეძებდი, შენს სახელს გავიძახოდი; შენ არ გესმოდა, იქ არ იყავი, რომ გადმომეცა ეს მადლით — მიუგო უფალმა.

* * *

როცა შენი თავის საწინააღმდეგო რაიმეს აკეთებ, იქ კანონზომიერი და სამართლიანი ძალები რაღაცისთვის გამზადებენ...

* * *

...რაც არ უნდა იწინასწარმეტყველოთ, მაინც ისე მოხდება, როგორადაც თქვენ არ იცით...

* * *

ეშმაკის ძიებამ საკუთარ კუდებთან არ მიგვიყვანოს...

* * *

აბსოლუტურად განცდადი ადამიანებისთვის არაფერია. მთელი სისრულით ის მხოლოდ უფალშია მოცემული...

* * *

ყველაფერი, რაც არსებობს ბუნებაში — ცოცხალი და

არაცოცხალი სამყარო, ბუნებრივი მოვლენები, ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილება და ფორმაციები, – რაღაცის მეორე ნახევარია. მისი სრული ფორმა ადამიანისათვის შეუცნობელია...

***

სამყაროს ენერგია – ეს არის ღმერთი, რომელიც მსჭვალავს ყველა საგანს და მოვლენას.

***

გამუდმებულ ცდუნებებში მყოფი ადამიანი გადაწყვეტს რა, ხელი აიღოს ყოველივე მაცდუნებელზე, ვარდება გაცილებით დიდ ცდუნებაში, რომლისთვისაც სულაც არ კმარა ამქვეყნიური სიკეთეების დათმობა...

თუ ყველა დაადგება ამ გზას, მაშინ დასაგმობი და დასათმობიც არაფერი იქნება... ცხოვრება არ შედგება!..

არ შედგეს ცხოვრება, ამის გაფიქრებაც კი დანაშაულია... უმჯობესია, დავიცვათ ზომიერება, რომლის უფლება მართლაც გვაქვს.

***

კაცი არ ლოცულობდა და უფალს არ ახსენებდა. ჭკუა რომ ესწავლებინა, უფალმა დასაჯა და უდაბურ ადგილას მარტო გამოკეტა. ცოტა ხანში კაცი აყვირდა.

რატომ ყვიროდი? – შეეკითხა უფალი – მე ხომ შენს გვერდით ვიყავით. ადამიანებს ვუხმობდი, უფალს ძებნა რად უნდათ – მიუგო კაცმა.

* * *

ერთიანი რელიგია კაცობრიობის დაღუპვის წინაპირობა შეიძლება გახდეს... (ერთიანი მორჩილი ცხვრებივით გადავიჩეხებით).

ტოტალური კონტროლი საერთო წესრიგისათვის, და ბოლოს, მონობისათვის, – კონტროლი სხვებისათვის და არა „ერთეულებისათვის“, – მეტი მონობა არც ერთ ისტორიულ საზოგადოებას არ ახსოვს. ვინ იცის, სხვადასხვა რელიგიების თავის დროზე წარმოშობა ხსნის გზაც იყოს მომავალში...

* * *

ღამეში და წყვდიადში მყოფი, მზემ გამომიყვანა და შექმნა ჩემგან „ადამიანი“. იგივე მზე დასწვავს, გაანადგურებს და კვლავ წყვდიადად გადააქცევს ყველაფერს... მთავარი ზომიერებაა!..

# სიკეთე, ქველმოქმედება, სათნოება

***

ყველაზე დიდი სიკეთე მოყვასის სიყვარულია.

***

გულუბრყვილობით ჩადენილი სიკეთე, ზოგჯერ, ბოროტებაზე ნაკლები არ არის...

***

თუ ადამიანი სიკეთის კეთებისას უფალთან კეკლუცობს, ეს მხოლოდ უფალმა იცის...

***

როგორც ამბობენ, თვალუჩინარ სიკეთეს აქვს უფრო მეტი მადლი, თუმცა თვალხილულსაც გააჩნია გარკვეული ძალა. იგი ადამიანებისათვის ხდება მისაბაძი, გადამდებია და სიკეთის გამრავლებას ემსახურება. დანარჩენს – ის, თუ რა ქვეშინაარსები გააჩნია სიკეთის ჩადენას, ამას უფალი განასხვავებს და განსჯის.

***

სხვა ადამიანების გრძნობების გათავისების საფუძველზე ჩადენილ სიკეთეს ორმაგი ძალა გააჩნია.

***

როცა სიკეთე ადამიანის მოთხოვნილებაა, ბუნებრივია, მას აქვს წარმოდგენა რა არის იგი და რა ფორმითაა შესაძლებელი მისი კეთება...

***

სიკეთის აღზრდა სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია.

***

ვინც ცხოვრებაში დახმარების ხელი გამომიწოდა, არ ვიცი, რა ქვეგანზრახვით აკეთებდა ამას. მის მიმართ მადლიერების გრძნობა გამაჩნია და რაც მთავარია, ჩემში სიქველე აღზარდა – მისი მადლი მომანიჭა და ორმაგი სიკეთე გააკეთა.

***

ადამიანს, ზოგჯერ, მოკეთის (სიკეთის მკეთებელის) მიმართ უკეთური გრძნობები უჩნდება: კიდევ უფრო მეტის გამოძალვის სურვილი, გაბოროტება, სიძულვილი – მტრად მოკიდებაც კი.

მას არ უნდა, იყოს დავალებული, რადგან ეს ბოჭავს, სრულ მოქმედებას და თავისუფლებას უზღუდავს (მოვალეობებს ხომ ადამიანები ყველაზე მეტად გაურბიან). რატომღაც, მიაჩნია თავი დამცირებულ, დაქვეითებულ მდგომარეობაში, განსხეულებულ მოკეთეს შინაგანად ეწი-

ნააღმდეგება და ცდილობს, არ დაისაჭიროთოს იგი. თუ ამას თან დაერთვის მოკეთის ოდნავი ქედმაღლობაც – საბაბი იზრდება და წარმოშობს მის  მიმართ საშინელ ბრალს. ეს მხოლოდ განწყობილებებში და წარმოსახვებში, სინამდვილეში კი დახმარების ხელიდან გაშვებას ვერ ეგუება და ვერ ახერხებს. ასეთი ადამიანი სიკეთეს ვერ აფასებს, ვერ სწავლობს და ცხოვრებაშიც ვერ ახორციელებს მას. ამ შემთხვევაში თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ: გაუაზრებელი სიკეთე ბოროტებაზე ნაკლები არაა..

თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც უფლის მადლად იღებენ კაცის მიერ ჩადენილ სიკეთეს, არ იბოღმებიან და არ ბოროტდებიან. ესენი არიან თავმდაბალი, არაპატივმოყვარე, არაამბიციური – უბრალო ადამიანები, რომელთაც სიკეთის და მისი მკეთებელის მიმართ ბრალის აღძვრა არ შეუძლიათ; ლოცულობენ ასეთი ადამიანებისათვის და უპირველესად უფლისათვის, რომელმაც ეს სიკეთე მოუვლინა მათ.

* * *

სიკეთე არის ენერგია – სხივებით გამთბარი ველი, რომელშიც ადამიანი უნდა განიბანოს, რის შემდეგ არც არასოდეს მიატოვებს მას.

* * *

ზოგისთვის სიკეთე, მთელი მისი შინაარსი, თავისთავადი მოცემულობაა, ზოგს კი ძალიან ბევრი შრომა უხდება,

მის მცირედ ნაწილს ან ჩაწვდეს ან დაეუფლოს.

***

ზოგს ქველმოქმედების დიდი ნიჭი აქვს და სულსწრაფობს – უნდა, რაც შეიძლება სწრაფად გაახაროს სხვები, მაგრამ, ბევრჯერ, დახმარებაზე მეტად ადამიანებს ჭკუის სწავლება სჭირიათ; როდის – ფული და როდის – ჭკუა, ამის განსაზღვრა კი ძნელია.

***

ცხოვრებაში შემხვედრია ადამიანები, რომლებიც ამბობენ და ადასტურებენ, რომ ისინი დათვური სამსახურის მსხვერპლნი არიან.

***

როდესაც სიკეთეს აკეთებ, თან უკან მოუხედავად უნდა გარბოდე – უმადურობა ან კიდევ სხვა უბედურება რომ არ დაინახო – რათა, სიკეთესთან ერთად განკითხვაში არ ჩავარდე. აი, ამიტომაა საჭირო თვალუჩინარად სიკეთის კეთება.

***

ზოგჯერ გვწყალობენ არა სათნოების, არამედ საჭიროების მიხედვით.

კარგად უნდა ვიფიქროთ, ჩვენში მადლიერების აღძ-

ვრა – მზაკვრული ჩანაფიქრში ჩვენი მოსალოდნელი მონაწილეობის სანაცვლოდ – საპასუხო დავალდებულება ხომ არ არის.

***

როდესაც სიკეთეს ვაკეთებთ, უნდა დავფიქრდეთ: სურს თუ არა ეს უფალს და ვასრულებთ თუ არა მის ნებას; ზედმეტად ხომ არ ვიჭრებით ადამიანის ცხოვრებაში, მით უფრო, უზენაესის უფლებამოსილებაში.

# მეცნიერება

* * *

მეცნიერულ აზროვნებასა და პოლიტიკურ აზროვნებას შორის სიცარიელეს ეშმაკი ეპატრონება...

* * *

მეცნიერებმა არც მაშინ თქვეს უარი თავისი აღმოჩენების განხორციელებაზე, როდესაც კოლექტიურად თავს წაადგნენ ისეთ მოვლენას, როგორიც ატომის გახლეჩა და მისგან გამოყოფილი არნახული ენერგიის გამოყენებაა და მისი საშინელი პერსპექტივა თვალნათლივ და ცხადად იხილეს.

* * *

მეცნიერთა წრეგადასულ მარათონში არ გამოიკვეთა ჯანსაღი, შორსმჭვრეტელური ანალიზი. თავბრუდამხვევ, გაუცნობიერებელ მოძრაობაში, აღმოჩენებით ფრთაშესხმულები, სწორედ რომ, ეშმაკის კუდს წააწყდნენ და ერთმანეთის ჯიბრზე თავისკენ ექაჩებოდნენ, დარწმუნებულები – კაცობრიობის კეთილ სამსახურში ჩააყენებდნენ მას.

* * *

„ფიზიკოსთა ოჯახი“ უძლური აღმოჩნდა, გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა კაცობრიობის განადგურების წინააღმდეგ და

ატომური იარაღი ნებაყოფლობით ბრჭყალებში ჩაულაგეს სამხედრო ინტერვენციის მესვეურთ.

* * *

ფიზიკოსთა უმრავლესობას, რომელთათვისაც სამყარო მხოლოდ ენერგია (ცხელი და ცივი მატერია) და სივრცეა, ჭეშმარიტების დადგენისათვის კვლევა-ძიების გაგრძელება მოუწევთ...

* * *

საკვირველება ატომებად და პოზიტრონ-ნეიტრონებად დაშლა კი არ არის, არამედ, ბუნების მიერ მათგან მრავალფეროვანი ბიოლოგიური სისტემების აწყობა, რაც ფიზიკოსებს მაინცდამაინც არ ხიბლავს და რატომღაც „დამშლელ-ამწყობთა" კატეგორიებს ერთმანეთთან თანამშრომლობა არ სურთ...

* * *

აინშტაინმა, როგორც ცნობილია, გარდაცვალების წინ თავისი მეცნიერული ნაშრომები გაანადგურა, სავარაუდოდ, თავისი მრავალგზისი და მეცნიერ-ატომისტთა კრახის გამოც, რომლებმაც სიცოცხლეს დადამიწაზე ბირთვული იარაღი დაუპირისპირეს. ბუნებრივია, საგონებელში ჩავარდნილი, როდესაც თავის ნაშრომებს ანადგურებდა, ფიქრობდა: ჩვენ არა ვართ ის არსებები, რომლებიც დიდ

კანონზომიერებებს ჩავწვდებით ან გამოვიწვევთო. იგი უღირს საშუალებებზე ლაპარაკობდა... ეს ჩამოაყალიბა კიდევაც თავის ცნობილ გამონათქვამში: „არც ერთი მიზანი არ არის იმდენად ამაღლებული, რომ უღირსი საშუალებები გაამართლოს მის მისაღწევად“.

* * *

არსებობს თუ არა აზროვნების ავტორიტეტები – მათი სანდოობა და უტყუარობა? რა თქმა უნდა, მათი აზროვნება უნდა იყოს დადასტურებულად ფორმულირებული და გაჯერებული სხვათა აზროვნებით, თუმცა ისტორია იცნობს კოლექტიური აზროვნების ფორმებს, რომლებიც დამღუპველი აღმოჩნდა, როგორც სხვებისთვის, ასევე თავისთავისთვისაც.

მეცნიერთა კოლექტივი, რომელიც ძალიან ვიწრო საკითხით არის დაკავებული, უნდა მოვიაზროთ, როგორც ერთი პატარა, კერძო სექტორი. მათი საქმიანობა აუცილებლად უნდა იქნას საზოგადოებრივი აზროვნების თვალთახედვაში გატარებული. წინააღმდეგ ამისა, არავის აქვს გარანტია, რომ ერთ-ერთი გაუწონასწორებელი განზრახ, ან ვინმე, სრულიად შემთხვევით, არ ჩაიდენს გამოუსწორებელ შეცდომას.

* * *

დღეს თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ მეცნიერება არის დატყვევებული, რაც დანარჩენ მსოფლიოს აძლევს საბაბს გააკონტროლოს მათი საქმიანობა...

* * *

დაშლისა და ელემენტარული ნაწილაკებისადმი ლტოლვა ფიზიკოსებში შეიძლება აიხსნას ნგრევისა და დესტრუქციისადმი მათი მომეტებული მიდრეკილებებით...

მხოლოდ უფალს შეეძლო, – ელემენტარული ნაწილაკებისაგან გასაოცარი სინთეზით, – უმშვენიერესი სიცოცხლე ზომიერების ძალიან ვიწრო ზონაში განეთავსებინა და არანაკლებ უმშვენიერესი სასუფეველი განემზადებინა ყოფიერების ზომიერი მნიშვნელობით აღქმის შემთვისებელთა უმცირესი მასისათვის, რომელთა აზროვნება მარადიული ყოფიერების დიად ღირებულებებთან შეერთებას და ზიარებას გულისხმობს...

* * *

მსოფლმხედველობრივი საზრისის გარეშე დარჩენილი მეცნიერება, ერთ მშვენიერ დღეს, უსაზრისოდ დატოვებს თავად კაცობრიობის არსებობის საზრისს...

* * *

როცა მეცნიერთა დიდი ნაწილი რაღაც „ვარაუდს" ეთანხმება, ის უსათუოდ ელოდება გამომზეურებას.

* * *

მსოფლიოს კატასტროფა რომ ავაცილოთ, საჭიროა, მეცნიერები მონობისაგან ვიხსნათ!..

## პოლიტიკა

***

ზოგიერთი პოლიტიკოსი, ჩვენში, მხოლოდ რიტორიკის ჭუჭყიან, გაცვეთილ ძაფზე ჰკიდია...

***

პოლიტიკოსები, მუდამ, საზოგადოების აპათიის ნიჟარაში იბანენ ხელებს...

***

გიგანტური სახელმწიფოები ფიზიკური ძალის, უახლოესი ტექნოლოგიების ან სხვა საშუალებებით ადამიანთა დასაჭურისებას თუ არ შეწყვეტენ, მიიღებენ გადაგვარებულ ადამიანთა კასტას ან მანიაკთა ხროვას, რომლებიც ამაზრზენი საშუალებებით შეეცდებიან მათი ძალადობის აღკვეთას!..

***

ადამიანთა მართვის ავანგარდისტები, რაღაც დროის შუალედში, მაინც ახერხებენ მასების აყოლიებას. ბრბოს თვისებებით აღჭურვილი ეს საზოგადოება, გარკვეული დროით, მონუსხულივით ემსახურება ამ ჯგუფის მიზნებს და ასრულებს მათ დავალებებს. დგება მომენტი, როცა იგივე მასა ბუმერანგივით უბრუნდება – თავს ესხმის ამ

იდეების ავტორებს, საუბედუროდ, ხახაში უვარდება სხვა ჯურის არამზადებს.

****

ტირანი ხელმწიფე, ხალხის მასების სისხლის წყურვილის დაკმაყოფილების საშუალებაა. ის ამ ვნებების საზომიცაა და საბოლოოდ, სასჯელიც...

****

პოლიტიკას და მთავრობას სადღაც ყური უნდა უჩანდეს, რომლიდანაც ხალხს უსმენს. წინააღმდეგ შემთხვევაში მალე დაკარგავს ნდობასაც და ლეგიტიმაციასაც.

****

ქართველებმა არადიპლომატიით, არაკეთილგონიერებით და ბედოვლათობით რუსეთს ტერიტორიები დავაპყრობინეთ, რასაც კიდევ ვაგრძელებთ ვირტუალურ ტერიტორიებზე...

****

ტოტალიტარული აზროვნება არ შეიცავს დიალექტიკურ ბირთვს, რომელიც საღ ოპონირებას გაწევდა და უზრუნველყოფდა მიზანშეწონილ მოძრაობას. ეს, – სასიკვდილო ტენდენციით აღძრული ასეთი საზოგადოების და მათი ლიდერის – დამღუპველი მოძრაობაა, რომელსაც ვერავითარი ძალისხმევით ვერ შეაჩერებ.

* * *

ჰიტლერი უდიდესი იმპროვიზაციული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო, რომელმაც საკუთარი ვნებები, როგორც მითოლოგიური პერსონაჟები, ისე გააცოცხლა და განასხეულა. შემდეგ პასაჟირება მოახდინა რეალურ ადამიანებში. საკუთარი მხეცის ალაგმვას, ამ ადამიანებში განსხეულებული მისივე ვნებების გაცამტვერებით და ალაგმვით ცდილობდა, რითაც მისტიფიკაციის მწვერვალების დაპყრობის არნახული ნიჭი და უნარი გამოამჟღავნა...

* * *

ჩვენ, ქართველები პოლიტიკამ გაგვაშმვლა, მშიერ-მწყურვალი დაგვტოვა – აღოღებულ მათხოვრებად გვაქცია. განა მართო ეს? – პირველყოფილებადაც გვაქცია, რომელთათვის გონივრულობა, შორსმჭვრეტელობა, კომბინაციური აზროვნება, მით უმეტეს, დიპლომატია დამახასიათებელი არ არის...

* * *

მსოფლიო, დღეს, მისტერიული იმიტაციით ცდილობს რუსეთის შეჩვენებას...

* * *

„ამაზრზენი კონფორმიზმი", რომლითაც გაიჟღინთა დღე-

ვანდელი მსოფლიო, შეადარებად აწის სახეზე ზოგიერთ ჩვენს პოლიტიკოსს, რომელშიც ადამიანურის ამოცნობა გვიჭირს და გვიმძიმს...

***

გარანტია იმისა, ვინც თავის თავს ძლიერად წარმოადგენს, რომ პირველი არ განადგურდება, არ არსებობს.

***

ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა ჰგავს უვარგისი მონადირე ძაღლის ქცევას, რომელსაც მონადირე ხან იქ გაუშვერს თითს, ხან აქ. მართალია, ძაღლი აქოშინებული, თავდაუზოგავად დარბის პატრონის წინაშე, თავის მოსაწონებლად, – საკუთარი ალღო კი გამომუშავებული არა აქვს...

***

ავტოკრატული მმართველი, ხშირად, თავად საზოგადოების მიერ არის გამოძახებული იმ თავნებობის და მანკიერების აღსაკვეთად, რაც ამ საზოგადოებამ თავის თავში დაინახა და აღმოაჩინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო მასთან. ეს პერიოდული აქტები საზოგადოებრივი ცხოვრების თანმდევი პროცესებია, რომლის გასაანალიზებლად და დასკვნების გამოსატანად მარტო მეხსიერებამ ვერ იკმარა...

* * *

ჩემი აზრით, პოლიტიკა ეშმაკის ერთ-ერთი უმძლავრესი იარაღია.

* * *

კრისტალური სიცრუის ფანტაზია არც ჩვენ ბედოვლათ პოლიტიკოსებს აღმოაჩნდათ. შუა გზაში ფანტაზია შემოელიათ... ესეც ხელოვნების დარგი ყოფილა...

# ხელოვნება

* * *

ხელოვან ადამიანთა აზროვნებაში ავტომატური იმპულსები ჯიუტად ფეთქავენ. დიდი ტკივილები წარმოშობენ აზრებს, ფანტაზიებს, იდეებს. როდესაც ასეთი იდეები გენერირდება, არავინ იცის, რა წყაროებით მარაგდებიან და იკვებებიან ისინი. მოზღვავებული გრძნობები, ზოგჯერ, პიროვნებას  არ ემორჩილება. ხელოვანს ისღა დარჩენია, მიჰყვეს  მათ „დირექტივებს“ და იმოქმედოს მათი ნებით. ზოგჯერ, მას  მზა ხატებად მიეწოდება ხელოვნების ქმნილება, რომლის გადმოტანა საზოგადოების ფანტაზიების, გემოვნების გათვალისწინებით და მისთვის გასაგები ენით უწევს. ეს გადამუშავება მათ დიდი ტკივილების ფასად უხდებათ და გამზადებული ტილოც განსხვავებულ ელფერს იძენს. ამდენად, ხელოვნების ქმნილების უკან ყოველთვის დგას „ჭეშმარიტი ნაწარმოები“, რომელსაც ვერ ვხედავთ. ჩვენ აღვიქვამთ ორეულს – მეორადს, რომელიც „პირველს“ მეტად თუ ნაკლებად ჰგავს. ეს არის ხელოვანის და საზოგადოებრივი აზროვნების ურთიერთქმედების თანაპროდუქტი, რომელიც, ასე თუ ისე, ორივეს აკმაყოფილებს, – არადა, როდესაც გამზადებულ ტილოს ვჭვრეტთ, მის უკან ყოველთვის „ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებს“ დავეძებთ და მის  ბრწყინვალებას ვემორჩილებით...

* * *

პოეზია სულის კათარზისია. ტკივილების, ღრმა განცდების და გარდასახვების გარეშე, ხელოვნების ნაწარმოები არ იქმნება.

* * *

მოდერნისტული „მიდენა“ მხატვრული კულტურის დამანგრეველი ხდება...

* * *

თუ ხელოვნებაში „განსხვავებულად ურევ,“ არ შეიძლება მას ხელოვნება უწოდო...

* * *

განსხვავებული აზროვნება პოეზიაში ბილწსიტყვაობას, ტალახის სროლას და აბსურდს არ უნდა გულისხმობდეს.

* * *

არცერთი ხელოვნების ნაწარმოები არ არის უზადო იმიტომ, რომ გემოვნებაც არ არის უზადო.

* * *

ოდესმე „დაფეხვილ დედაკაცსაც“ ეწვევა მუზა, ანგელოზების ფრთებს გამოასხამს და ზეცაში ააფრენს...

* * *

ლექსის აწყობა-დაწყობაზე მეტად სულიერება მიზიდავს მასში.

* * *

მითოლოგიური აფეთქების ჟამს ისტორიული განვითარების დროს გადაუსწრო კიდევაც და წინ შეეგება მას ადამიანური ღირებულებებით დატვირთული...

* * *

ძალიან დამაფიქრებელია ის ფაქტი, ცნობილი პიროვნებების შემოქმედება რატომ ფასდებოდა მათი გარდაცვალების შემდეგ და არა მათ სიცოცხლეში...

* * *

დასრულებული ნაწარმოები არ არსებობს. ის იმისთვის იწერება, რომ გაგრძელდეს...

* * *

პოეზიაში ილუზიას და ფანტაზიას თავისი საზღვრები და ჩარჩოები აქვს...

* * *

ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა მივხვდი... რომ ადამიანები დაეძებენ და აღიქვამენ ყნოსვა-გემოვნების ფერს

პოეზიაში, ფერის ყნოსვა-გემოვნებას მხატვრობაში... რომ, საერთოდ, მადა ადამიანებს არასოდეს ღალატობს...

* * *

ლექსს რა კვებავს გასაგებია, რას ჩააცმევ კი არა...

* * *

ნებისმიერი ადამიანი უნდა მიხვდეს ან იგრძნოს, პოეტმა რა დაწერა. თუ ვერც მიხვდა და ვერც იგრძნო, მაშინ ცუდადაა საქმე...

* * *

ავტორის გულწრფელობას თავად ნაწარმოები გვამცნობს.

* * *

პოეტური მინიატურები პოეტური მარგალიტებია.

* * *

ნაწარმოებში თუ შინაარს აამღერებ, ან აატირებ – მიიღებ ფორმას...

* * *

წარმოსახვის დიდი უნარი, შესაბამისი ფორმის მოძებ-

ნის დიდი ტექნიკაა საჭირო – მკითხველს განაცდევინო, რაც გსურს...

***

რთული ძალიან უბრალოდ უნდა გადმოსცე...

***

მწერლისათვის და პოეტისათვის კონკრეტული არ არსებობს, კონკრეტულს ხატავს ზოგადი ნიშნით.

ხელოვანს ეუფლება მშვენიერების განცდა. ამ დროს ხშირია ხატოვანი წამოცდენები, ხილვები და ორიგინალური ასოციაციური კავშირები. გამოვლენის ფორმა ინდივიდუალურია.

რა ზონაში და რა გემოვნებით მუშაობს შემოქმედი, როგორ აღიქვა და დაინახა ეს სამყარო?..

ჭეშმარიტ არსთა ძიების და შეგრძნების თავისებურების მიხედვით, გადაამუშავა რა თავის ქურაში პრობლემური საკითხები, შექმნა მხატვრული ტილო და დაუბრუნა იგი საზოგადოებას. ამ მხატვრულ ტილოში იკითხება: ზეციურ და მიწიერ ძალთა ჭიდილში, მიმართებითი დამოკიდებულება არსთა წვდომით, სიღრმის და მისი გადმოცემა-გადმოტანის – დაოსტატების ხერხების შეთვისება-შეთავსების ხელოვნება; სულიერი განცდა, სიღრმე, მრავალსახეობა, თუ შემეცნების რა გზა აირჩია და მისი შესაბამისობა რეალობასთან, რომელიც ხელოვანის ინდივიდუალიზმზე, გემოვნებასა და დახვეწილობაზე მეტყველებს.

* * *

ადამიანის მიწიერი ფანტაზია ხელოვნება არ არის. მხატვრული აზროვნების ინსტიქტები მუდმივ კავშირში უნდა იყოს სოციალურ ყოფასთან და შექმნას ხელოვნება ჭეშმარიტებისა და სილამაზის მარადიული კანონებით.

* * *

წერის დაწყება სულიერი და ხორციელი დაუკმაყოფილებლობის შევსებისაკენ სწრაფვაა.

* * *

მუზით მოფრენილი ლექსი თავად მღერის და უსათუოდ სიმებს სასიამოვნოდ არხევს. ერთფეროვნებაც მოსაწყენია, რაგინდ ჰარმონიული იყოს ის. ხანდახან, ლექსში ლამაზად დაწყობილი აზრებიც იწვევს ჰარმონიულად სიმების შერხევას. თუ მასში სამართლიანობის მარცვლებიც ჰყრია, თავის მიზანს კარგად აღწევს.

* * *

ყველაზე დიდი სერიოზულობა და პასუხისმგებლობა სახუმარო ნაწარმოების შექმნას სჭირდება.

* * *

ყველა წიგნი დახურულია და მე ვწერ... მაპატიეთ, თუ „რაიმე“ უნებლიეთ გადმოვიწერე ამ წიგნებიდან ან თქვენი

აზრებიდან... თუმცა მათ ჩემი ქურაც გამოიარეს...

* * *

მუსიკა სამყაროს ხმაა და შეგრძნებათა ჯამია.

* * *

როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება ადამიანის ცხოვრებაში, ამას ძალიან უბრალოდ, ჩვეულებრივად ვუყურებთ. ჩვენს თვალში ბოლოს და ბოლოს ყველაფერი უბრალოვდება, მაგრამ ეს ყველაფერი, თუნდაც უმნიშვნელო, ჩვენს გონებაში თავს იყრის და ფოკუსირდება. შემდეგში უმაღლესი ხარისხით ხდება მათი ხელახალი წარმოსახვა.

* * *

თანდათან ვრწმუნდები, რომ პროზაც პოეზიაა...

* * *

ცხოვრება ისე უნდა აღწერო, რომ ნამდვილს მიამსგავსო... არც სინამდვილეა მთლად ნათელი და კაშკაშა...

# სიბრძნე, ფილოსოფია, ლოგიკა

* * *

სიბრძნე ბევრია, რომელთაც შესაბამისი გამოყენება სჭირდება.

* * *

ცხოვრებაა თავად დიდი ბრძენი და ფილოსოფოსი, რომლის ფოკუსირება და გარდატეხა ცალკეულ ფილოსოფოსებს სხვადასხვაგვარად ძალუძთ.

* * *

ფილოსოფიური დოგმები არ არსებობს, ფილოსოფიური აზროვნება – კი.

* * *

მეამბოხე ადამიანი უკვე ფილოსოფოსია.

* * *

თუ ადამიანს შეუძლია გამოვიდეს და თქვას, რომ ის ფილოსოფოსია, ჩვენ უნდა დავუჯეროთ მას.

* * *

ფილოსოფოსთა აზროვნებაში არის კიდევ სივრცეები და არეები, რომლებიც სხვა ფილოსოფოსებმა უნდა ამოავსონ.

***

ზოგს ფილოსოფია არ სჭირდება და არც არის საჭირო, თავს მოახვიო რაიმე მსგავსი, თუმცა მისი პრობლემა ფილოსოფიის პრობლემისგან დიდად განსხვავებული არ არის...

***

ფილოსოფოსებს ფსიქოანალიზთან მიახლება უმძიმთ...

***

ფილოსოფოსებმა ისე შორიდან დაიწყეს განზოგადებები, რომ ჯერ ადამიანთა პრობლებამდე დასული არ არიან...

***

ფილოსოფიის უდაბურ ტყეში შესულს, თავდაპირველად ზაფრი და შიში მოიცავს. ცოტა ხანში იქ დანახულ საგანთა ინტერესი ყოველგვარ ელდა-შეშფოთებას თრგუნავს – მთლიანად იპყრობს რა ადამიანურ არსებას და აზროვნებას.

***

არ შეიძლება, სიბრძნე ერთმა ადამიანმა წარმოშვას, ანდა მას მივაკუთვნოთ. სიბრძნეს ადამიანების თანაცხოვრება წარმოშობს და მისივე კუთვნილებაა.

* * *

ლოგიკა ბევრჯერ ექცევა ჩიხში...

ჩვენი ლოგიკა ხშირად სწორი არ არის და სულაც არ მივყავართ იქ, სადაც უნდა მივიდეთ...

ლოგიკა ეს არის ტვინი – ცნობიერება, მაშინ, როცა ინტუიცია – გრძნობა, რასაც გულს ვეძახით, ეს არის ადგილი, სადაც ცნობიერების – ლოგიკის ადგილი არ არის. ის, რასაც ცოდნას ვეძახით, არ არის ნამდვილი ცოდნა... მასთან ბევრი რამ გვაშორებს.

* * *

...მტკიცებულებები, ბევრჯერ, საკმაოდ მოწესრიგებულია და დიდი ლოგიკური ჯაჭვით არის ასხმული, თუმცა რეალურობა მის პარალელურ რელსებზე გვაყენებს და სადღაც მიგვაქანებს ისე, რომ მატარებლის მგზავრივით, პარალელურ ვაგონებში ვაფიქსირებთ მას...

* * *

ისტორიკოსს ისტორიულ წიაღებში ინტუიციური აზროვნება უნდა ამოძრავებდეს და იქედან მადნეულს დიდი ენთუზიაზმის ძალით ეზიდებოდეს.

# საზოგადოების სტრუქტურა და საზოგადოებრივი აზროვნება

***

სხვადასხვა სტრუქტურის, მაგრამ ერთი და იგივე სეგმენტებისაგან შემდგარი სფერო არის საზოგადოების მუდმივობის ფორმა, ამ სეგმენტების შეცვლის მცდელობა უშედეგოდ მთავრდება.

სფეროს გააჩნია მცირედი პლასტიკურობა... შეიცვლის რა ფორმას, უბრუნდება საწყის მდგომარეობას...

***

ბუნებაში ასახვა და საზოგადოების ცნობიერებაში ჩასახვა კანონზომიერებითი პროცესია.

***

საზოგადოებაში როცა, დამნაშავის მიმართ დასჯაზე მეტად, მიტევების მოთხოვნილებაა, უნდა ჩავთვალოთ, რომ შემდგარ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე, თუმცა, ამისათვის, პირველ რიგში, დანაშაულის ჩამდენის სინანულია საჭირო. სხვა შემთხვევაში უსამართლობასთან გვექნება საქმე და არც უფლის ნება აღსრულდება.

***

როდესაც, ქუჩაში გავლილს, ეჭვი შეგეპარება მრავა-

ლი ახალგაზრდა მამაკაცის ორიენტაციაში; უნებისყოფო, აკანკალებულ, კახექსიურ ახალგაზრდებს იხილავ აფთიაქში, რომლებიც ფარმაცევტს აიძულებენ, რაც შეიძლება სწრაფად შეუფუთონ შპრიცი და მისი თანმხლები ატრიბუტები; წარმოიდგენ საზღვარგარეთ საშოვარზე გაქცეულ და ამის გამო დაქცეულ ოჯახებს, კიდევ უფრო მეტად დარწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს საზოგადოების დეგრადაციისა და რეგრესიის „მიზანმიმართულ" მცდელობასთან.

***

პიროვნება, რომელიც ხალხმა შეიყვარა და თავის იდეალად წარმოსახა, არასოდეს არის ერთი პიროვნება. ის განზოგადებული (წარმოსახული სახეა); საზოგადოებრივი დაკვეთის შედეგად მიღებული სიმბოლოა, – ამ საზოგადოებისათვის მისაღები. ზოგჯერ მას იმ თვისებებსაც მიაწერენ, რომელიც სინამდვილეში არ ჰქონია. ის შეიძლება იყოს რეალური ან მითოლოგიური პერსონაჟი.

***

ჩვენი წარმოდგენები მრავალ მოვლენათა ფოკუსირებული სახეა, რომელთა გაშლა თავისავე წარმომშობი მიმართულებით და წვდომა ადამიანის გონებას არ ძალუძს.

***

დედამიწაზე დამანგრეველთა და აღმაშენებელთა აზრები საპირისპირო მიმართულებით წრეზე მოძრაობენ, რომლებიც მაშინ აღმოჩნდებიან ერთ წერტილში, როცა ეს დედამიწა აღარ იქნება...

***

როცა ავანსცენაზე პრიმატები და პრიმიტივები გამოდიან, საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებაზე ფიქრი დაგვიანებულია.

***

პიროვნული გონიერების შემთხვევაშიც კი უძლურნი ვართ, წინ აღვუდგეთ მეწყერად მოხეთქილ საზოგადოებრივ აზროვნებას, რომელიც დროდადრო ტრანსში აგდებს მასებს. სწორედ ამ ტრანსის შემდეგ იწყება მასათა ინტუიციური მოძრაობა გადაგვარებული აზროვნების წინააღმდეგ, რომელსაც ასევე ვერაფერი შეაფერხებს.

დღევანდელ აზროვნებაში „კრიზისი“ სახეზეა, ინტუიცია კი ჯერ არ გამოკვეთილა...

***

რა თქმა უნდა, საზოგადოება შეეცდება შეცვალოს აზროვნება, რომლიდანაც გამორიცხეს...

* * *

ვერავის აზროვნებას ვერ დავიწუნებთ. იგი, ზოგადად, ბუნების აზროვნების წესიცაა. „დაბალ და მაღალ“ კატ-ეგორიებში აზროვნებას თავ-თავისი შინაარსები გააჩნია: ან მაგალითია, ან – სამაგალითო.

* * *

ადამიანი მოვალეა, ჩაიხედოს თავისი ეპოქის საზოგა-დოების წარმოსახვათა სარკეში და თავისავე წარმოსახვათა თვალსაწიერით კრიტიკულად შეაფასოს იგი. არ არის მოვ-ალე, კვერი დაუკრას ყოველივე ნანახსა და გაგონილს...

* * *

ერთია, რას ფიქრობს ხალხი, მეორე – რა უდევს კა-ცობრიობას ქვეცნობიერში.

* * *

აზრობრივ-მენტალური ძალადობა, რომელიც სოციალ-ურ გარემოში შეიძლება არსებობდეს, ბუნების კანონზომ-იერებებთან ვერაფერს გახდება. დამკვიდრება, რომელსაც სოციალურ-მენტალური ჯგუფები ახდენენ პირობითია და დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთში გამოდგება, ბუნების მთავარ ასახვაში ის არ მოიპოვება...

* * *

თუ საზოგადოება დაავადმყოფებულია, მას მოვლენების მიმართ სწორი რეფლექსია ვერ ექნება...

* * *

აზროვნების მონოპოლიზების მცდელობა კრახით მთავრდება...

* * *

ადამიანები ისე არ უნდა გაამწარო, რომ, ერთ მშვენიერ დღეს, მასობრივ თვითმკვლელობებში მიიღონ მონაწილეობა მსოფლიოს გადარჩენის მოთხოვნით...

* * *

ყოველი ადამიანი თავისი ცნობიერების უნიკალურობიდან და ფასეულობით-კატეგორიალური ღირებულებიდან გამომდინარე აყალიბებს კრიტერიუმებს, რომელთაც არგებს როგორც საკუთარ თავს, ასევე საზოგადოების წევრებს და აქვს შეფასების სრულიად განსხვავებული სისტემა.

* * *

დასანანია, ამ საზოგადოებას, ჯერ კიდევ, დეილ კარნეგის ულუფები რომ ესაჭიროება.

* * *

სიცოცხლის განხორციელების ხაზზე, ბუნებრივი კატაკლიზმებით და ადამიანის ხელით შექმნილი ხელოვნური ბარიერების მიმართ სრულიად განსხვავებული აზროვნება და დამოკიდებულება არსებობს.

თუ კატაკლიზმში ადამიანი საყოველთაო და უფლის განგებულებას ხედავს, ხელოვნურ ბარიერებს ის თავისუფლების შემზღუდავ, სრულიად დაუშვებელ, ძალმომრეობით განხორციელებულ ქმედებებად აღიქვამს, რომლის მიმართ წინააღმდეგობა იმდენად დიდია, რომ არაფერზე უკან არ დაიხევს; სწორედ რომ, ყველანაირ საშუალებებს – აკრძალულ თუ აუკრძალავ მეთოდებს გამოიყენებს ამ ძალადობის აღსაკვეთად. მსოფლიოს „უკანონო მამები," დროა, დაფიქრდენ ამაზე!..

* * *

ქაოსისაკენ მიმზიდველი ლტოლვები და მისწრაფებები გარდაუვალობის და აუცილებლობის ინსტიქტური შეგრძნებებით უნდა ჩავანაცვლოთ.

დღესდღეობით, დგას არა მასების ფსიქოლოგიური მართვის, არამედ მისი შესწავლის აუცილებლობა. იმ კატაკლიზმებიდან გამომდინარე, რაც უკვე სახეზეა, საჭიროა არა ფუტურისტულ-კოსმოპოლიტური აზროვნება, არამედ რეალობასთან – მისი შედეგებიდან გამომდინარე, სწორი დამოკიდებულება და კომპეტენ-

ტური აზროვნება, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დამოკიდებულებით და აზროვნებით უნდა იყოს ნაკვები და არა ახირებული, ბედისწერის ტალღებზე მოთამაშე, ავანტიურისტების მცირე ჯგუფების აზროვნებით!..

***

ზოგი ადამიანი საზოგადოებრივი ასახვის – იდენტიფიკაციის პროცესს სიცოცხლის ბოლომდე ვერ ასრულებს.

## ადამიანი და ბუნება

* * *

ბუნება გამორჩეულ და „წარჩინებულ“ ადამიანებს არ სცნობს. იგი ჩვენს კაპრიზებს არ იღებს, რადგან თავად არის კაპრიზი. იგი გამოარჩევს ფიზიკურად (უკეთ შეგუებულთ) და სულიერად გაძლიერებულთ.

* * *

ბუნებას ყოველთვის ჰყავს გამზადებული ადამიანთა ძლიერი და მძლავრი კასტა, რომელიც სუსტის ადგილს ძალიან მოქნილად და სწრაფად ანაცვლებს!..

* * *

ადამიანის გენეტიკაში, აგრეთვე, საზოგადოებრივი ჯგუფების, ერების, ცივილიზაციების შიგნით, თვითგადარჩენის ინსტიქტის პარალელურად დევს და მოქმედებს თვითმკვლელობის – განადგურების ინსტიქტი.

რას ემსახურება იგი?

სავარაუდოდ, გადარჩევას – ბუნების უფრო დიდი იდეის გადარჩენას!..

* * *

ადამიანის ფანტაზიით, რკინისებური დისციპლინით, თუნდაც, საყოველთაო კონტროლის მექანიზმებით და სხვა მე-

თოდების ძალით შეკოწიწებულ ცივილიზაციას არსებობა არ უწერია, რამეთუ, ბუნებაში არსებობს ხელოვნურად შექმნილი ორგანიზმების თვითმკვლელობის, განადგურების და გადარჩევის უფრო მძლავრი მექანიზმები...

* * *

ბუნება „კეთილშობილების“ მიხედვით არ არჩევს, ვინ გაჰყვება მას. საერთო მასიდან ის ირჩევს ადაპტირებულთ და შეგუებულთ, რომლებიც გამოსადეგია მის მიერ წარმოშობილ აუცილებლობაში, თუ მასში მართლაც განვითარებაა ნაგულისხმები. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ რეგრესიას, რომელიც ბიომასის და ადამიანის გაქრობით დამთავრდება.

* * *

ბუნებას ვერაფერს ვასწავლით და თუ შევეცდებით მის წინააღმდეგ ქმედებას, მისი კანონები დაგვაბრუნებს „საწყის მდგომარეობაში".

* * *

დააკვირდით ბუნებას, მცენარეებს... გამძლე ჯიშები მწარე ძირზე არიან დამყნილნი, ჭია-ღუანი მათ ფესვებს ვერ ირგებენ, ნაყოფი კი სასიამოვნო და გემრიელია...

* * *

ბუნება დახელოვნებული შემოქმედია – მოიშოროს ყოველივე ზედმეტი და შექმნას ნატიფი შედევრი...

* * *

მიეცით ბუნებას საუბრის საშუალება, ფიქრს – თავისუფლად მოძრაობისა.

* * *

რატომღაც, ადამიანი დღესდღეობით თავისი გამანადგურებელი იარაღის შექმნით არის დაკავებული, არადა, სიცოცხლე სამყაროს განუსაზღვრელი სივრცის და პირობების რა პატარა ზოლშია მოქცეული და განა შეიძლება ადამიანს მის მიმართ მოწიწება არ გაუჩნდეს?

მჯერა, სიცოცხლის შენარჩუნება მარტო ადამიანის ამბიციაზე არ იქნება დამოკიდებული...

* * *

ბუნებას უყვარს ანალოგია...

* * *

ბიოლოგიური მასა, თავისთავად, ადამიანის გარეშეც იარსებებდა. რადგანაც ადამიანს წარმმართველი როლი დაეკისრა, – იგი მესაჭეა, ხომალდი სადღაც უნდა მიიყ-

ვანის (ზოგადი იდეის შესაბამისად).

ბიოლოგიური ბირთვის არსებობა ადამიანისაგან დამოუკიდებელია, მისი გადაადგილება კი ნამდვილად ადამიანს აქვს დაკისრებული...

* * *

განსაზღვრულ გარემოში განსაზღვრული არსებობა გარდაუვალი პრინციპია ცოცხალი ორგანიზმებისათვის (სისტემებისათვის). სინათლემ განავითარა მხედველობის ორგანოები მთელი მისი ურთულესი წარმონაქმნებით. ბგერამ განავითარა სმენის ორგანოები ასევე ურთულესი აგებულებით. გარემოს პირობებმა გამოიწვია კიდევ სხვა წარმონაქმნების წარმოშობა — განხორციელდა სიცოცხლე როგორც ასახვა. საკმარისია, მცირედი ბიძგი, - ტემპერატურის ან სხვა სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების შეცვლა, — ცოცხალი სისტემები შეწყვეტს არსებობას. მაშასადამე, მათი არსებობა მკაცრ განსაზღვრულობაშია გარემო პირობებისაგან...

* * *

ბიოლოგიური და სოციალური ყოფიდან ვინც „განაჩენს“ ვერ გამოიტანს ბუნება ანადგურებს მათ.

# იდეა და იდეოლოგია

* * *

იდეა – იარაღია, რითაც რაიმეზე მუშაობას ვაპირებთ, არათუ ეს, ზოგჯერ თავად ადამიანია იარაღი, რომლითაც იდეა მუშაობს.

* * *

იდეოლოგიას ერთი ცუდი თვისება აქვს, როცა იზრდება, ფუტუროვდება და ადვილად იმსხვრევა...

* * *

დღევანდელ ქართულ საზოგადოებას აქვს შანსი, იხილოს მომაკვდავი პოლიტიკური იდეოლოგია და მათ წარმომადგენელთა, არამარტო, იდეოლოგიური კრიზისი, არამედ ფიზიკური განლევა-გადაგვარების უცნაური კანონზომიერება, რომელიც ტელევიზიის ეკრანებიდან თვალნათლივ სჭვივის.

ახლა კეთილგონიერთათვის გასაგებია: ისინი შეძლებდნენ ფენიქსივით აღდგომას იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ თავში გონიერებას და ადამიანური განსჯის შესაძლებლობებს ბოლომდე არ ამოწურავდნენ.

* * *

მთავარი არსის ძებნაში ადამიანები ათასი ჯურის „იდეოლოგ-ფანატიკებს“ ეყრებიან და აედევნებიან მათ,

თუმცა, შუა გზაში ხვდებიან, ეს მათი გზა რომ არაა. ზოგი ახერხებს, მოწყდეს ამ ავანტურისტებს და მეტი ენთუზიაზმით აგრძელებს შეწყვეტილი გზის ძიებას.

***

იდეოლოგიის შემქმნელთ ინტუიცია სწორად განვითარებული არ აქვთ. ისინი ამ იდეოლოგიით გარკვეული ხნით მართავენ მასებს, რომელთა ინტუიცია, საბოლოო ჯამში, ამ მოძრაობის საწინააღმდეგო მოძრაობას აღძრავს.

***

საკითხავია, იდეოლოგიის ავტორები და მქადაგებლები რატომ ხდებიან არაადეკვატურები თავიანთი „ნამოღვაწარის“ მიმართ?..

***

სწრაფვა იდეებისადმი, ხშირად, ადამიანს მის მორჩილებად და „მონობად“ უზის....

# კულტურა, ერი, ტრადიცია

* * *

ჩვენი აზროვნება და მენტალობა, მიხვრა-მოხვრა, ჟესტ-ები, გამომეტყველება – ნიღბად ქცეული ჩვენი მიმიკა – ეს არის „კულტურის“ დაღი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

* * *

კულტურა მისივე წარმომშობი საზოგადოების არსებობას და სიცოცხლისუნარიანობას უნდა გულისხმობდეს...

* * *

ადამიანების მორალურად გამხრწნელი და ფიზიკურად გამანადგურებელ-გადამგვარებელი „კულტურები“ კრიზისს განიცდიან და, საბოლოოდ, დასაღუპად არიან განწირ-ულნი...

* * *

არსებობს კულტურათა, ისევე, როგორც იდეათა, განმწ-მენდი – ჰიგიენურად დამამუშავებელი საშუალებები, რომ-ლის გამომგონებელი ზოგადკანონზომიერებითი მოძრაობის გამომწვევი ძალებია.

***

კულტურა იმდენად გვჭირდებოდა, რამდენად იგი ჩვენი არსის შინაარსს შეესაბამებოდა – მისი მოთხოვნიდან წარმოიშვებოდა; გარდასახვათა პრიზმებს გაივლიდა და ასევე კიდევ სხვა გარდასახვებით უკან გვიბრუნდებოდა.

***

კულტურის ფენომენი ზოგადგანსაზღვრულობათა – მისი არსის გამოვლენის შესაძლებლობაა.

***

ადამიანი, დღესაც კი, ველურად იბადება, რომლის ცარიელ გონიერების საწყობში ამჟამინდელი სოციალურ-კულტურული გემოვნებით დალაგებულ ფირებს ვალაგებთ. ხშირად გვავიწყდება ეს „ველური" მომავლის ადამიანი რომაა: ის ამ ჩალაგებულ ფირებს ხელახლა აწყობს და ალაგებს და სრულიად განსხვავებულ კულტურულ ღირებულებებს ქმნის.

***

მსოფლიოს ყველა კულტურა მისაღებია ჩემთვის. უკულტურობა, – არც ჩემი და არც სხვისი.

* * *

ერი სულიერების კრისტალიზაციით მიღებული, პულსირებადი, სიცოცხლისუნარიანი ბირთვია, რომელსაც გულისცემად შეიგრძნობს ერის საღი – ჯანსაღი ორგანიზმი.

* * *

ის კი არ უნდა ვეძებოთ, როგორ ან რატომ გაბრწყინდება საქართველო, არამედ – თუ ეს გვწამს – უნდა გავამართლოთ ეს გაბრწყინება ჩვენს სულებში.

* * *

ჩვენ, ჩვენი მოჩლუნგებული კუნთებით და გონებით გაგვიჭირდება ერის გამთლიანების – ისტორიული ხატისა და მოწოდების შესაბამისი – მისია შევასრულოთ. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა განვკურნოთ ჩვენი სხეული კუნთოვანი დისტროფიისაგან, გონება – ათასგვარი პათოლოგიური წარმოსახვებისაგან.

* * *

ტრადიციული სუფრა საქართველოში ერთგვარი რაინდობის, მამაკაცური ღირსებების წარმოჩინებისა და გადათამაშების სიმბოლური ასპარეზია, რომელიც კარგი გაგებით სიბრძნის ადგილია, ცუდი გაგებით – ღრეობაა.

# გრძნობა და ემოცია

***

გრძნობები და ემოციები სიამოვნება-უსიამოვნების ზღვარზე, ადამიანის როგორც ბიოლოგიური სისტემის და სოციალური არსების მოძრაობის ფორმებში ჩაისახა და აღმოცენდა.

***

შემეცნებით პროცესებში გრძნობითი და ემოციური ტონალობა ადამიანური ფენომენისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ჩანასახის სახით იგი ცხოველებშიც მოიპოვება.

***

გრძნობები უაღრესად სუბიექტივირებული ობიექტური განცდებია.

***

ესთეტიკურ ემოციურ განცდაში ობიექტს თვისებები ადამიანის კატეგორიალურ-ფასეულობითი ღირებულებებიდან გამომდინარე მიეწერება და არა ამ ობიექტის თავისებურების მიხედვით.

***

ხშირად ჩვენი გრნობების და ემოციების აღქმის, გამო-

ხატვის, აჟღერების საშუალებებს ვერ ვფლობთ და კიდევ დამატებითი გრძნობების (ინტუიციის) საშუალებით დავ-ექებთ მათ გამოძახილს სხვათა შემოქმედებაში.

* * *

მკვეთრი გრძნობები არის უხილავი საცეცების მქონე, რომლებიც უსაზღვროდ იზრდებიან და უსაზღვროდ გარ-დაიქმნ-გადაიჯაჭვებიან ერთმანეთში...

* * *

შენი აღმაფრენა სადღაც რომ მიგაქანებს, არ უნდა გაჯიუტდე...

* * *

აუშვი ემოციები, ნუ გყავს დაბმული, თღონდაც, მყ-ეფარა ძაღლს არ დაამსგავსო.

* * *

ემოციებს აწარმოებს ობიექტი – საჭირო მნიშვნელო-ბით და აქტუალურობით და არა ზოგადად ამ ობიექტის თვისებები.

# აგრესია

* * *

აგრესია მოთხოვნილებებში და განწყობილებებში უნდა ვეძიოთ, განწყობილებები კი მატერიალურ საფუძვლებში... ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განწყობილება – აუცილებლად ფიზიოლოგიურ განწყობილება-გადაწყობაში. ფიზიოლოგიური გადაწყობა ესაა ონტოგენეზის თანმდევი – მემკვიდრულ საფუძველზე აღმოცენებული.

* * *

ოჯახური ტრაგედიების და სცენების, აგრეთვე, ჯგუფური სექსის ამაზრზენი კადრების დეტალური ჩვენება ტელევიზიით არის აგრესია, არა ნაკლები, ვიდრე სხვა საშუალებებით აგრესია. მოურიდებელი განსჯა და ინტერესი სხვისი უბედურებისა და დემონსტრირება, – სენსაციისა თუ სხვა მიზნის დასაკმაყოფილებლად, – არაადამიანური, ამორალური მეთოდების გამოყენება, სულში ჩაძვრომა და ჩაფურთხებაა.

საინტერესოა, როცა მათი ოჯახის წევრები ერთად შეიკრიბებიან, – დედა, მამა, შვილები, ოჯახის სხვა ახლობლები, – ექნებათ თუ არა სურვილი, ნახონ ეს კადრები.

„გენიალური“ არსების ფანტაზიით შექმნილი „შედევრებ-

ის“ მსგავსი მოვლენები, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხოველებში არ ფიქსირდება, უფრო მეტიც, მათი ოჯახური წყვილების არსებობა ბუნების საოცარი სილამაზის და ჰარმონიულობის დამადასტურებელია და განა შეიძლება ადამიანს არ გააჩნდეს სიყვარული და ემპათია საკუთარი არსების მსგავსი არსებების მიმართ?..

# ინტუიცია და ბედისწერა

* * *

ფსიქომატრამვირებელ ზემოქმედებათა გავლენით, რატომღაც, ადამიანი ზეშთაგონებულ მდგომარეობაში გადადის (გადაისროლება) და ინტუიციური არხები ეხსნება. ეს ადამიანის ნების გარეშე ხდება.

* * *

ბედისწერა არათუ ჩვენ გვითვალთვალებს, ჩვენც ვუთვალთვალებთ მას...

* * *

ადამიანების მისწრაფებებში ქრის ბედისწერის სიო...

* * *

ინტუიცია ზოგად განსაზღვრულობათა გამონაშუქია...

* * *

ინტუიციით მოძრაობა აზროვნების უმაღლესი ფორმაა...

* * *

ზოგჯერ, ჩვენი ინტუიციის გამონაშუქი ბედისწერას ჩვენსავე ჩრდილში აქცევს...

* * *

ინტუიციური აზროვნების განსაზღვრისას ან განმარტებისას, ყოველთვის დაგვჭირდება სიტყვა „რატომღაც“.

* * *

ადამიანის ნებაში ბედისწერითი ელემენტები ყოველთვის არის.

# დრო, მოდა, თანამედროვეობა

* * *

დედამიწაზე არის რითმი და დრო, რომელიც ბიოლოგიურ სისტემებში აუცილებლად აისახება.

* * *

მოდურობა არ ნიშნავს წინა საუკუნეების აღკაზმულობის გამოყენებას, მაგრამ არც „მონობის" დამადასტურებელი ატრიბუტების გამოყენებას უნდა გულისხმობდეს...

* * *

განსხვავებულად ყოფნა არ არის ის, თუ რას მივიმაგრებთ სხეულზე...

* * *

სანამ „ახლის" უკრიტიკო მონა გახდებოდეს, ყველა ადამიანმა უნდა მონახოს დროის საჭვრეტი, რომლითაც წარსულს გადააფასებს და მომავალს სწორად განსაზღვრავს.

* * *

ადამიანის კვლევის, შესწავლის თანამედროვე ტექნოლოგიები – გენეტიკა და თავად კლონირების სენსაციური მეთოდები – ფუჭი და ამაოა, მის დაუკავშირებლად სულიერი ზემოქმედების და სულიერი განვითარების მოვ-

ლენებთან, რომლის მეთოდები ფაქტიურად არ გასცდენია უძველესი აზროვნების – ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის საზღვრებს.

სულიერი განვითარების ნიშნები სრულებითაც არ შეინიშნება სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის საჭირო ტექნოლოგიების პარალელურად. ადამიანის გარეგნობის (ესთეტიკის) დახვეწასთან დაკავშირებით, ტექნოლოგიების განვითარება, სულიერი სამშვინველის დეგრადაციასთან ასოცირდება.

* * *

სამოსელის ღირებულებამ ადამიანის ღირებულებას არ უნდა აჯობოს.

# მშვენიერება, სილამაზე, სიყვარული

* * *

თუ აქ, ამ რეალობაში ვერ დაინახავ და ვერ აღმოაჩენ მშვენიერ სულს, ჩათვალე, რომ ვერც ვერასოდეს დაეუფლები მას სხვა ცხოვრებაში.

* * *

სიყვარულის ნიჭი – ყოვლისმომცველი, უზენაესი სიყვარულის, კერძო – განსხეულებული გამოვლენაა, რომელიც ყოფიერებას მსჭვალავს და სიბნელეს მარადიულად ფარავს.

* * *

სწრაფვა სილამაზისადმი ჩვენმა გრძნობათა ორგანოებმა მილიარდი წლების წინ გამოამჟღავნა. სილამაზე-მშვენიერება ბუნების საჩუქარია. ეს მას რომ არ ჰქონოდა, ჩვენ მის გამოგონებას ვერ შევძლებდით!.. სიცოცხლის გაგრძელება ანუ გამრავლება მისი კანონებით არის განსაზღვრული. ამას ადასტურებს სიყვარულის ულამაზესი ფორმა ადამიანებში, შეწყვილებისას; დამატკბობელი, ჭიკჭიკა სიყვარულის ენა და ბუნებისგან მინიჭებული მორთულ-მოკაზმულობა ცხოველებში; დამათრობელი, სურნელოვანი ყვავილობა მცენარეებისა.

* * *

„ეს“ სილამაზე, რომელსაც ვხედავ, ჰგავს „იმ” სილამაზეს, ამიტომაც ვარ აღფრთოვანებული... თუმცა მგვანება იდენტობა არ არის...

# ქალი და მამაკაცი

* * *

მამაკაცების სიძლიერეს ვაღიარებ და პატივს ვცემ. ყველა ქალის სურვილს – გაუტოლდეს მამაკაცებს – მივესალმები.

* * *

ძლიერი ქალები ყოველთვის ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ მამაკაცებს, იდგნენ მათ გვერდით, ზრდიდნენ შვილებს, უძღვებოდნენ ოჯახს და ახლობლებს, ქმნიდნენ მატერიალურ დოვლათს, აქტიურად მონაწილეობდნენ სულიერ საგანძურთა შექმნაში, სახელმწიფოს მართვაში.

სუსტი ქალები თავად ღირსეულ ქმრებსაც ვერ უწევდნენ პარტნიორობას, ავხორცობდნენ, ადვილად ებმებოდნენ მახეში. მათ იყენებდნენ სხვადასხვა სიბინძურის აღსასრულებლად.

ასეა დღესაც, ისინი ადვილად ხვდებიან საცდურებში და მათთვის „სპეციალურად" დადგმულ ბადეებში. ზოგჯერ, ინფანტილური აზროვნებისა და ზედაპირულობის გამო, სრულიად გაუცნობიერებლად ხდებიან დამღუპველი იდეოლოგიის მედროშეები, რითაც წინააღმდეგობაში მოდიან თავად საკუთარი პერსონასთანაც, – ბუნებისაგან

მინიჭებული კეთილშობილების, ჰუმანურობისა და სათნოების ნებაყოფლობითი უგულველყოფის გამო...

* * *

როდესაც ქალი ახერხებს, ყავდეს ოჯახი წესრიგში, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იყოს აქტიური, უფრო მეტიც, შეუძლია თავის ორბიტაზე ჰყავდეს ადამიანები, საზოგადოება, „თავად სამყარო“, აქ, აუცილებლად, უნდა ვიფიქროთ მის დედობრივ – ადამიანთა დასაბამის მიმცემ და მამაკაცური თვისებებისა და უნარების ჰარმონიულ შერწყმაზე. ასევე ხელოვნებაში და ჰუმანიტარულ სფეროებში დასაქმებულ მამაკაცებში, უსათუოდ მოიპოვება - მშვენიერების აღქმის, სათნოების, ადამიანთა სიყვარულის, თავისუფლება-თანასწორუფლებიანობის, ომისა და ნგრევის საწინააღმდეგო – უაღრესად ჰუმანური – ქალური საწყისები.

ქალები – ვიწრო, ჩაკეტილი აზროვნებით, წვრილმანებისა და საკუთარი ჰიგიენისადმი ზედმეტად მიდრეკილნი, ჩაცმაზე და მოდაზე ორიენტირებულნი, უინტერესონი საკაცობრიო თემებისადმი, განზოგადებებისადმი ნაკლებად განწყობილნი – არიან სუფთა ქალური ბუნების მქონენი.

მამაკაცები – ნგრევისა და დესტრუქციისადმი, შეიარაღება-ომების და აგრესიისადმი მიდრეკილნი არიან სუფთა მამაკაცური საწყისის მქონენი.

* * *

ფემინიზმი ჩემში ტოვებს ასეთ ასოციაციას: შეედავე, – მეტი რომ დაგრჩეს.

* * *

ემანსიპაცია – დღევანდელი თვალსაზრისით – ქალისა და მამაკაცის გადაგვარებას გულისხმობს.

* * *

ყველაზე ჭკვიანი ქალი ის არის, ვინც მამაკაცს რაც თავად სურს იმას აკეთებინებს, ხოლო მამაკაცს ჰგონია, რაც მას სურს იმას აკეთებს.

* * *

მამაკაცს არა აქვს სურვილი ქალის გონებას ჩასწვდეს, მით უფრო, აღიაროს იგი.

* * *

მამაკაცის გონებრივი და ფიზიკური სიძლიერე, ქალური სინაზე, სილამაზე, დედობრივი სიყვარული და სხვა მონაცემები თანაბარმნიშვნელოვანია სიცოცხლის მთავარ არსში და დანიშნულებაში.

***

ქალისადმი მამაკაცის სიყვარულში, თუნდაც თავგანწირულში, ყოველთვის დევს მისი პატივმოყვარეობა.

***

მამაკაცის ფიზიკური და გონებრივი სიძლიერე გაწონასწორებულობას და დარეგულირებას საჭიროებს, რასაც ჭკვიანი ქალები კარგად ახერხებენ.

# ჩაკეტილი (შეღახული) სიცოცხლე - ბიოლოგიური და სოციალური ასახვის კრიზისი

ზოგჯერ ადამიანი საკუთარი „სიმშვიდისათვის“ სწირავს სხვა ადამიანების სიმშვიდეს... მას სჯერა, ან იძულებულია დაიჯეროს შეთხზული ამბები, მითები, – ყოველგვარ უსამართლობაზე დახუჭოს თვალები, თითქოსდაც იყოს მშვიდად ან ეგულებოდეს იგი თეორიაში.

რატომ გვსურს გამუდმებულად გვატყუებდნენ – ვიყოთ ილუზიაში, რითაც ბოროტებას ვაკანონებთ და არც სიმშვიდე გაგვაჩნია?

მოაზროვნეებმა, ფილოსოფოსებმა, რელიგიამ, რომლებიც ბჭობენ და ბრძნობენ, ჯერ კიდევ ვერ გააგებინა ხალხს, ახლართულ-დახლართული ქარაგმებით, რისი თქმა უნდათ, ვერ გამოკვება და ვერ დაარწმუნა ისინი. ამასობაში, დანაყრების და დარწმუნების მსურველი რამდენი თაობა მივიღეთ?

დღეს, მსოფლიოს „გამომკვებავ“ ადამიანთა ვიწრო ჯგუფს აქვს განცდა, რომ უნდა მართოს მსოფლიო სწრაფი შედეგების მისაღწევი საშუალებებით...

„სწრაფი კვება“ – აი, ადამიანების დაწყნარების ეფექტური მეთოდი...

დღევანდელი აზროვნება ჯანსაღი სიცოცხლის ტენდენციას არ შეიცავს... ასეთ რთულ პირობებში, ეს ჯგუფი

ცდილობს ადამიანებს (ძირითადად ახალ თაობას) შესაბამისი ფორმა მისცეს: თვალი აუხვიოს, დააბრმავოს – მისაღები, გამოსადეგარი ფორმა მისცეს, მაგრამ ეს გაძნელდება – „კრიზისი" დაწყებულია და მას ვერაფერი შეაჩერებს...

განვიხილოთ  ბიოლოგიური არსის დარღვევა (დეფექტი) და მისი შეუსაბამობა სიცოცხლის ტენდენციასთან.

მე-20 ს-ის მეორე ნახევარში ატომური კატასტროფების შედეგად ადამიანის მთავარი ბიოლოგიური არსის მატარებელი გენეტიკური კოდი დაირღვა – დეფორმირდა, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა და ბოლო თაობებში გამოვლინდა კიდევაც მრავალნაირი დეგენერაციული ცვლილებების სახით. სამწუხაროა, არათუ პროგნოზირება თაობებში, დღეს, გენეტიკური დარღვევები და მის მიერ გამოწვეული პათოლოგიები სრულიად შეუსწავლელია.

რას ნიშნავს ბიოლოგიური არსის შეუსაბამობა სიცოცხლის ტენდენციასთან?

მოვიყვანოთ ასეთი უხეში შედარება: თუ ქოლგის არსი არის წვიმისაგან თავდაცვა, მაგრამ მისი მფლობელი მას ვერ შლის ან დაემტვრა იგი, ცხადია, ქოლგის არსი ვერ განხორციელდება. ასევე შეცვლილი გენეტიკის მატარებელი სიცოცხლე ვერ განხორციელდება იმ არსით და დანიშნულებით, რაც ექნებოდა მას გენეტიკური ცვლილების გარეშე. გენეტიკური კოდი დამზერს სიცოცხლეს – აკონტროლებს მას. იგი შედარებით სტაბილური მო-

ცემულობაა. შეუსაბამო, სწრაფი და ინტენსიური ცვლილება დროში ადაპტირების საშუალებებს არ იძლევა და წარმოშობს შეუსაბამობას ძირითად სასიცოცხლო ტენდენციასთან (კანონზომიერი ცვლილებების ზღვრების დარღვევის პირობებში). ამ შეუსაბამო ცვლილებებმა უკვე იჩინა თავი...

ბიოლოგიური სისტემის დეფექტი – გენეტიკური დარღვევა, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილების მიხედვით იძლევა იმპულსებს, რომლებიც სასიცოცხლო იმპულსებს ფარავს, რაც გამომჟღავნდა კიდეც სხვადასხვა დარღვევებში: თვითგანადგურების (თვითმკვლელობა, გაუკუღმართებული სქესობრივი ლტოლვები), ფსიქიკური დარღვევები, სხვადასხვა სომატური დაავადებები და ა.შ. ადამიანში სიკვდილის განწყობა სჭარბობს სიცოცხლის განწყობას. ამაზე მიუთითებს ფროიდი თავის ფსიქოანალიზში, როდესაც მსჯელობს დესტრუქციულ ლტოლვებზე, თუმცა იმდენი მეცნიერული ცოდნა გენეტიკის დარგში და სამწუხარო გამოცდილება ატომბირთვული კატასტროფებისა ხელთ არ ჰქონია, როგორიც გააჩნია დღევანდელ მეცნიერებას.

ადამიანის ფუნდამენტალური უფლება – მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა შელახულია და საკითხავია რა უფლებებში აღვუდგენთ მათ შელახულ სიცოცლეს?

დღეს, მსოფლიოში ყოველმა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა გაიაზრა ატომბირთვული კატასტროფების სა-

შინელება. ამ კატასტროფების შედეგად დაზარალებულ ურიცხვ მასას, რომელსაც სიცოცხლის და გამრავლების უფლება ჩამოერთვა, სთავაზობენ ახალ სოციალურ როლს, რომელსაც გენდერულ ნორმებად უყენებენ ისედაც დაბნეულ მსოფლიო საზოგადოებას. ამ საზოგადოების მხრიდან დასტურის მიცემის შემთხვევაშიც კი, ეს ნორმები – საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს რომ თავი დავანებოთ – კიდევ უფრო არღვევს სიცოცხლის უფლებას და დეგენერაციის გზაზე აყენებს შთამომავლობას.

რა დგას ამ ყველაფრის უკან?

სიცოცხლის და გამრავლების უფლებაჩამორთმეულ ადამიანებს კიდევ რაში ემართლებიან, რა არის ეს უფლება, რომელსაც პირდებიან? მე შენ მოგცემ უფლებას იქორწინო შენი სქესის ადამიანზე, იყოლიო ოჯახი... (სიცოცხლის ფუნდამენტური უფლების ჩამორთმევის და გადაგვარების ფასად?!..) და რაღაზე უნდა იდავო, რაღაზე უნდა შეაწუხო ვინმე?..

„მსოფლიოს მამებს“ არავითარი ტრანსსექსუალები და მათი უფლებები არ ანაღვლებთ. ისინი დაინტერესებული არიან, დეგენერაციულ შთამომავლობას მიუჩინონ „სათანადო“ ადგილი, რომელიც მათ სულაც არ დასჭირდებოდათ, კატასტროფის ალში რომ არ ჩაეხშოთ მათი ძირითადი უფლება – ჯანსაღი სიცოცხლე და შთამომავლობის ყოლის უფლება.

ამ „უფლების“ გამომგონებლებს კიდევ აქვთ ქვეგანზ-

რახვები. უფლებებით აღჭურვილი მასა მათ სჭირდებათ სამართავად, გამოსაყენებელ „მასალად", რათა საჭირო დროს, საჭირო ფორმა და მიმართულება მისცენ ისედაც დაბნეულ და გაუბედურებულ ადამიანებს...

და კიდევ: იდენტიფიკაციის მოთხოვნილება – საზოგადოებრივი ასახვის მოთხოვნილება, რომელიც ყველა ადამიანისთვის არის დამახასიათებელი და აქტუალურია გარკვეულ ასაკამდე, განსაკუთრებით მწვავეა და განიცდის კრიზისს გენეტიკური დარღვევების – ბიოლოგიური არსის შეუსაბამობისას სიცოცხლის ძირითად ტენდენციასთან, გადადის რა ადამიანის დაუოკებელ მოთხოვნილებებში, რაღაცნაირად აისახოს საზოგადოებაში – იდენტიფიცირდეს, რაც ამ შეუსაბამობის გამო, უსათუოდ იწვევს „ამბოხს", რომელიც „ნებისმიერად" შეიძლება წარიმართოს მიზანმიმართული, გონივრული მართვის და ხელმძღვანელობის წყალობით; მას შეიძლება მდინარესავით მისცე კალაპოტი – აზვირთო, ააღელვო და ეს ენერგია გამოიყენო შენს სასარგებლოდ – აი, ამ საცდელ სიტუაციაში ჰყავთ „გონიერ მმართველებს" უმცირესობათა მასა, რომელიც სავარაუდოდ – თუ ასე გაგრძელდება – არის მომავალი უმრავლესობა...

რაც შეეხება ამ იდეოლოგიის „დამცველ-გამხმიანებლებს" – სწრაფი კვების სტიმულებით წახალისებულ დაბნეულ ადამიანთა მეორე კასტას – რომელთაც სტიმულებით ისე აქვთ გონება დაბნელებული, მთავარ მიზეზებში ვერ ერკვე-

ვიან ან, სავარაუდოდ, სულაც არ აინტერესებთ და არ ანაღვლებთ, – უფლებადამცველების სტატუსით გამოდიან საზოგადოების წინაშე, საზოგადოებისა, რომელსაც დიდი ხანია აქვს სწორი რეფლექსია ამ მოვლენებზე და მაინც თავს ახვევენ მორიგ უბედურებას...

ყველაზე საინტერესოა, ამ მოვლენების მაორგანიზებელი ტვინი, თავად რა ფაზაში იმყოფება. იმედს ვიტოვებ და ოპტიმისტურად დავამთავრებ: არა მგონია სიცოცხლის გადარჩენა დედამიწაზე მხოლოდ ასეთი ადამიანების ამბიციაზე იყოს მინდობილი.

* * *

წარსულის უდიდესი ისტორიული გამოცდილების და მეცნიერთა მიერ ჩატარებული მრავალეზისი უზუსტესი და უტყუარი კვლევა-ძიებით მიღებულია შედეგი – ინცესტი, როგორც თაობათა დეგენერაციის მიზეზი.

საინტერესოა რატომ საუბრობენ ევროპელი პოლიტიკოსები მასზე, როგორც გენდერულ ნორმაზე?

მეცნიერთა კომპეტენციის, მათი აზროვნების უცერემონიო ხელყოფასთან ერთად, კიდევ რასთან გვაქვს საქმე? დეგენერაცია, შობადობის ხელოვნური შემცირება და ბოლოს კასტრაცია? (როგორც ცნობილია თაგვებში ინცესტის შედეგად წმინდა ხაზების გამოყვანისას, დეგენერაციის გამოვლინებასთან ერთად, მე-8 თაობიდან შობადობა კატასტროფულად მცირდება და საბოლოოდ წყდება).

უმჯობესია, პათოლოგიური არსებები ხელოვნურად კი არ გამოვიყვანოთ, არამედ ეს „გამოყვანილი“ პათოლოგიური არსებანი, რომლებიც ცალკეული ქვეყნების პარლამენტშია წარმოდგენილი, დროზე დაიბლოკოს და მათი აზროვნება გაანეიტრალოს კომპეტენტურმა აზროვნებამ. მათი ,,აზროვნება“ ხომ დაფინანსებულია... (თუ არა, მაშინ ჭკუაშეშლილობასთან გვაქვს საქმე...). ვინ არიან ისინი, ვინც ამაში იხდიან ფულს, ვინ არიან დამკვეთები?.. ამის გარკვევაა მთავარი საკითხი და ამოცანა, მანამ, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს, არ მოვლენ და მართლაც უცერემონიოდ არ გვეტყვიან: „დედამიწაზე ლიმიტი ამოწურულია, თქვენ ვერ წარმოშობთ შთამომავლობას – თქვენ ვერ გამრავლდებით“ და სათანადო კანონმდებლობითაც გაამყარებენ ამას...

აი, ამ ფორმულირების შენიღბული მცდელობაა ინცესტის ლეგალიზაცია ანუ დეგენერაციის დამკვიდრების აქტი – კიდევ ერთი დიდი დანაშაული კაცობრიობის წინაშე...

# სივრცის შევსების ფენომენი ბიზნესში და აზროვნებაში

ამ პრობლემას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ გაძღომა-გაუმაძღრობის პრობლემა, არა მარტო გადატანითი მნიშვნელობით. სხვა რითი უნდა აიხსნას, დღეს, საქართველოში, ერთი და იგივე ცნობილ ფირმათა მიერ, – თავისი ან შენიღბული სახელწოდებით, ერთსადაიმავე ადგილზე, – ერთი დანიშნულების ბიზნეს ობიექტების ჩამწკრივება, რომელთაგან ზოგი მოგებაზე სულაც არ მუშაობს. რას ნიშნავს ეს? – თუ არა ადგილის შევსებას (ამოვსებას), იმისათვის, რომ სხვას არ დარჩეს სივრცე არსებობისა...

არის კიდევ ტენდენცია, ერთ სფეროში დასაქმებულებს, რატომღაც, მიაჩნიათ ეს სფერო შემოსაზღვრულად და დაკავებულად. ვერ ეგუებიან მათ სივრცეში ახალი სახის გამოჩენას, რაგინდ კომპეტენტური იყოს იგი. აღიქვამენ როგორც უცხო სხეულს და განწყობილნი არიან მის მოსაშორებლად (ეს კულტურულად, სინამდვილეში, მიცვივდებიან და დაუზოგავად „კორტნიან“ მას).

ეს კიდევ არაფერი, საგანგაშო მდგომარეობაა საინფორმაციო სივრცეში, სადაც მიუღებელი, მაზომბირებელი, ადამიანის ფსიქიკის დამამახინჯებელი, აკრძალული, ამორალური, მოძალადეობრივი მეთოდებით ხდება აზროვნებითი

სივრცის ამოვსება (რეკლამები, გადაცემების ფორმატები, წაბილწული – სიძულვილის ენა პრესაში და ტელევიზიებში, რამაც, ამ ბოლო დროს, შეჯიბრობითობის ხასიათი მიიღო). სამწუხაროდ, საზოგადოების გაუცნობიერებლობისა თუ ინდიფერენტულობის გამო, მისი გაანალიზება და ჯეროვანი შეფასება დღემდე არ მოხერხდა.

აზროვნებითი სივრცის დაპყრობა – ჩაგვრის, დამონების, ადამიანის არარად ქცევის – ახალი, აპრობირებული მეთოდია და უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიების დაპყრობაზე ნაკლები აგრესია და დანაშაული არ არის...

## სხვადასხვა

***

არსებული მოფუსფუსე სამყაროდან, კოსმოსის ღია სივრციდან, უსასრულობიდან, მილიარდი წლების სიღრმეებიდან შენს სულში მოურიდებლად იჭრებიან რეალური თუ არარეალური არსებანი. ბევრჯერ არც კი იცი, ვინ არიან ისინი, რა უნდათ, რას დაეძებენ, რატომ ირევიან, ფუთფუთებენ, გაფორიაქებენ, მოსვენებას არ გაძლევენ – საზღვარი არ არსებობს მათ შესაკავებლად. მათ შორის დაეძებ შენსას, დაუცველს, სუსტს, დაბნეულს. ზოგჯერ პოულობ სრულიად უსუსურს და უნებისყოფოს. ცდილობ, ამ არეულობიდან დაიხსნა, გამოიყვანო, გამოსახო, ფორმა მისცე, – ინდივიდუალობა, პიროვნულობა, ადამიანურობა და სახიერება შესძინო მას.

სამყაროს მოძრაობაში და ხმაში საკუთარი ტონი გამოიცნო, გამოარჩიო, სიმკვეთრე შესძინო, შეუპირისპირო სხვათა აზროვნებას, მით უფრო, ხმამაღლა, მოურიდებლად ააჟღერო – როცა ამ ხმაურში და ქაოსში გამუდმებული ჩახშობა და ჩაქრობა ემუქრება – ეს გაბედვაა

***

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, კაცობრიობას გაუჩნდა კიდევ ერთი ჭირი – „უმართავი ატომური

ენერგია“, რომლის სათანადო გააზრება ათეული წლების შემდგომაც ჯეროვნად ვერ მოხერხდა.

* * *

თუ აზრებისა და გამონათქვამების მკითხველი იზიარებს მას, ის თავისადაც მიიჩნევს და ფიქრობს: ეს სწორედ ისაა, რაზეც თავად უფიქრია ან აღმოუჩენია, თუმცა არ გამოუთქვამს.

* * *

სჯობს, გადავაჭარბოთ შეფასებებში (როგორც ექიმი და ავადმყოფობა), ვიდრე გამოგვეპაროს რაიმე.

* * *

ერთუჯრედიანიც კი ტოტალიტარულად მოაზროვნე ლიდერზე მაღლა დგას. ის აქტიური სასიცოცხლო ტენდენციის მატარებელია, რაც ამ ლიდერში არ შეინიშნება. ეს უკანასკნელი უარყოფს ყველაფერს: აზროვნებას, პროგრესს, გრძნობებს, სწორ შემეცნებას, გამოცდილებას და მხოლოდ ერთგვარი თვითგანადგურების ინსტიქტით ამოძრავებს თავის მიერ შედგენილი იდეოლოგიით აღჭურვილ მასას.

***

ჩვენს ყველაზე მგზნებარე ვნებებს სისავსეობა ან ნაკლებობა განაპირობებს, – ზომიერებას ვნებები არ ახასიათებს.

***

ზოგჯერ, ორგანიზმის სასიკვდილო იმპულსი სასიცოცხლო იმპულსებს ფარავს და აქრობს (ორგანიზმი რატომღაც ირჩევს სიკვდილს), მანამ, სანამ ბიოლოგიური სიკვდილი დადგება. (ეს საინტერესოა!..)

***

კაცობრიობის განვითარების ისტორია ძალიან ჰგავს ადამიანის განვითარების ისტორიას (ონტოგენეზს). იგი ახლა გამოდის ბავშვობის – სახიფათო საგნებთან თამაშის – ასაკიდან, რამაც წარუშლელი კვალი დაატყო კიდევაც მის ისტორიას. ამჟამად იგი შედის არანაკლებ სახიფათო – სქესთა როლური გამორკვევა-იმიტაციის – გარდამტეხ ასაკში და გადავა ჭაბუკობის „ულამაზეს ხანაში"... მხოლოდ თავისი განვითარების მოწიფულობის ჟამს მიაღწევს სრულყოფილებას...

***

მუდამ ასე ხდება: თვალთან მოახლოებული ბედნიერება თვალის დახამხამებაში ჰორიზონტისაკენ გარბის...

* * *

პიროვნული სიძლიერისა და ფსიქოფიზიოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ურთიერთასახვის პროცესში ყალიბდება ქცევის, განჭვრეტის და მოვლენათა შეფასების საორიენტაციო უნარები, რომელთა მანიპულირება ნებელობითი ღონისძიებებით სავსებით შესაძლებელია.

* * *

მიზნის მისაღწევად, ზოგჯერ, ხელაღებული ბრძოლა ან ყველა საკუთარი შეხედულების მანიფესტირება არ არის აუცილებელი. საჭიროა მოხერხებული შენიღბვა და ხელსაყრელი დროის მონახვა.

* * *

განზოგადების საშუალებას განვლილი ცხოვრება იძლევა და არა გასავლელი.

* * *

ჩაურევლობა უფრო მეტი დანაშაულია, ზოგჯერ...

* * *

გაწაფულობა სწავლაში და ცოდნის შეძენის სურვილი ადამიანური მშვენიერების გამოვლენა სულაც არ არის, თუ მას არ დაერთვის გაადამიანურების უმძაფრესი წყურვილი!..

***

როცა „მადრიგინას“ დავცინით (ქალი, რომელმაც თეთრ ქვებზე, ქუთაისში, შიშველმა სურათები გადაიღო) – საკუთარ თავს დავცინით და როცა „ნანუკიზმზე“ რეაგირება არა გვაქვს – წარმოდგენა არა გვაქვს უფლებებზე, სამართლიანობაზე, სირცხვილზე და თავად სინდისზე... (თემა გაცილებით დიდია!...)

***

სამწუხაროა, ბევრჯერ ერთსა და იმავეს ვამტკიცებთ და მაინც ვკამათობთ...

***

ორგანიზმი ასახვის დადასტურებული პროდუქტია. სამყაროს მასშტაბებით იგი სიცოცხლის ძალიან მცირე - ვიწრო ზონაში იმყოფება. მისთვის გარემო სარკეა, რომელშიც ყველაფერი ნათლად ჩანს; რეაგირებადი, შეგუებადი, დინამიური სისტემაა იმ ზღვრამდე, სანამ მისი არსებობისათვის საჭირო პირობები კატასტროფული სიჩქარით არ შეიცვლება და არ ამოიწურება...

***

როდესაც ის წერს – კარგია, როდესაც მე ვწერ – არ ვარგა...

* * *

ზედმეტი, გაუანალიზებელი ფანტაზია, ზოგჯერ, საკუთარი არსებობისადმი მიმართულ გამანადგურებელ საშუალებებს წარმოშობს...

* * *

მიზეზი ფართო ცნებაა და წარმოშობის უამრავი პირობა შეიძლება გაჩნდეს, რომელიც ბევრჯერ გაუგებარია და აუხსნელი... იგი „არარას" შემცველიცაა, რომელზედაც წარმოდგენა არა გვაქვს. უმჯობესია, დამდგარი შედეგის – მიზეზად, პირობითად მიჩნევა.

როდესაც ვამბობთ, მიზეზი შედეგს იწვევს, ეს აზრობრივად არასწორია.

სწორია: ამ შედეგით – მეორე შედეგის დადგომა...

ამ შედეგიდან იმ შედეგამდე, სწორედ რომ, განსაზღვრულ და განუსაზღვრელ მიზეზთა მთელი ჯაჭვია ჩართული...

ტერმინს „მიზეზს" როცა გამოვიყენებთ, მიგვაჩნია და ვგულისხმობთ „ამ შედეგის" გამომწვევ სხვა „შედეგებს".

* * *

რაგინდ უბადრუკი იყოს აზრი ან შეხედულება, თუნდაც, საწინააღმდეგო აზრის წარმოსაშობად მაინც გამოდგება..

***

მეამბოხეები სიკვდილის შემდეგ უფრო მეტს ამბობენ...

***

აზრს მაგიპნოზირებელი ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. მჯერა, მსოფლიო გაერთიანდება და დაიძვრება დამონების ტექნოლოგიური საშუალებების წინააღმდეგ.

საჭიროა თავისუფლების და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება მასებში.

***

ავტორიტეტული მოაზროვნეები და აზროვნების მოძალადეები არ გვჭირდება. საზოგადოებას სჭირდება კომპეტენტური აზროვნება.

„გენიოსი“, რომელიც შენიშნულია ადამიანების მოდგმის სიძულვილში და პათოლოგიური აზრის მატარებელია, საჭიროა რომ მოვაქციოთ ფსიქოლოგიურ იზოლაციაში. სავალდებულოა არ არის პათოლოგიური მუხტის და აზროვნების ადამიანები მართავდნენ მსოფლიოს.

ახლა საჭიროა, ამოვალაგოთ მთელი ჩვენი „მინაღწევარი“, რაც კი კაცობრიობას ადამიანისმცოდნეობის დარგში შეუქმნია და დავიწყოთ ინტენსიური აზროვნება სიცოცხლის გადასარჩენად!..

* * *

ბუნებას მხოლოდ მისი ქცევებით ვერ შევიცნობთ... როდესაც მეცნიერულ კანონზომიერებას ვადგენთ, მის ბუნებრივ შინაარსსაც უნდა ჩავწვდეთ, ჩვენი ცნობიერება მის ცნობიერებას მივუახლოვოთ. მომეტებულმა გაუაზრებელმა ინტერესისმა და მოქმედებამ ღრმა ტყეში შეგვიტყუა და, ახლა, ისტერიულად იქედან გამოსვლის გზებს ვეძებთ....

ბუნება ჩვენს პირობებს თავზე რომ არ მოიხვევს, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

...კატასტროფის წინაშე მდგარ ადამიანს სხვა გზა არ დარჩება... ბუნების „უნივერსუუმს“ ჩაეკვრება გულში, აღიარებს და გაითვალისწინებს მის მკაცრ პირობებს!..

* * *

ისე ვთქვი, ასე ვთქვი... შევეცადე რაღაც შემეცვალა...